გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N7 (9258)   9 მარტი. 2018 წელი   ფასი 50 თეთრი

სანამ ფირალივით უძალიანდება გორმაღალი მეწყერს

3

რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ

4

„ჯეოჰოსპიტალსის" მიზანია, მოსახლეობამ იგრძნოს, რომ საიმედო ხელშია

როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი

მიზანი კი არა, მისასვლელი გზები უნდა შევცვალოთ

6

ჩვენ ვირჩევთ ექვთიმეს გზას!

9

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

3

იის კონა შრომით გალამბული დღეებისთვის

5

პაატა ცქვიტაიშვილის ობიექტივში მოქცეული ისტორიული წამი

სასიამოვნო ინფორმაციით დაწყებული სხდომის დეტალები

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ქალბატონებისადმი დედის დღის მილოცვით რომ დაიწყო, ამ გაზაფხულზე პირველი გახლდათ. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სასიამოვნო ახალი ამბავი გააგებინა განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელიამ კოლეგებს _ სამტრედიის ახალგაზრდულ ნაკრებს ჭიდაობაში სერიოზული მიღწევები აქვს საქართველოს ჩემპიონატზე. ამ წარმატების გათვალისწინებით, იგი მსოფლიო ჩემპიონატზე გახლავთ მიწვეული.

სხდომის დღის წესრიგით 12 საკითხის განხილვის საჭიროებას დეპუტატებმა თანხმობა მისცეს და ტრიბუნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანმა დაიკავა. მან სპორტკომპლექს "სამტრედიას" ბიუჯეტში ცვლილებებზე ისაუბრა. ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ფილიალის ბიუჯეტში საჭიროებით გამოწვეული ცვლილებები გააცნო დეპუტატებს.

"სათნოების სახლის" ბიუჯეტში გარკვეული ნიუანსების განხილვას, საკრებულოს დეპუტატისა და ამ ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელის, ნონა გოგისვანიძის მწვავე რეპლიკა მოჰყვა. ეს დაპირისპირება უკვე კარგა ხანია ცნობილია საზოგადოებისათვის. საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ საკრებულოს დეპუტატებს. როგორც ნონა გოგისვანიძემ განაცხადა, კარგი იქნება, თუ საკრებულოს წევრები იქ არსებული მდგომარეობით დაინტერესდებიან. მადლობა გადაუხადა პარლამენტარ ზვიად ძიძიგურსა და "სათნოების სახლის" გამგეობის წევრ გულიკო მაჭავარიანს, რომლებმაც, მისი განცხადებით, უკანონო შეკრებაზე მხარი არ დაუჭირეს ნონა გოგისვანიძის თავმჯდომარეობიდან გადაყენებას.

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის მიერ გამოტანილმა საკითხმა, კომპანიების, "სილქნეტისა" და "მაგთიკომისათვის" ელექტროგადამცემი ბოძების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე, დეპუტატ ზაზა ადეიშვილის პროტესტი გამოიწვია: "სულ რამდენიმე დღის წინ, ნარკობარონებივით ერთმანეთთან შეთანხმები, "მაგთიმ" და "ჯეოსელმა" ერთი ტექსტური შეტყობინებით გვაცნობეს ტარიფების არა გაორმაგების, არამედ, ხუთმაგად თუ მეტად გაზრდის თაობაზე. ნუ დავისვამთ კისერზე მათ და არათუ დაბალ, ჩვენც ასე გაათმაგებულ ფასებში გადავცეთ მათთვის საჭირო ქონება! ხალხს ამდენის ატანა გაუჭირდება!"

ამ საკითხის განხილვისას, ტოლების თემის დეპუტატმა ილია მჟავიამ ვაზისუბნის ტერიტორიაზე არსებული შენობის, რომელშიც თავის დროზე ელექტროგადამცემი სადგური იყო განთავსებული, სახელმწიფო ბალანსზე აყვანის საკითხი დააყენა.

სხდომაზე გადაწყდა, რომ მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაეცეს პირად სარგებლობაში ახლად შეძენილი სატრანსპორტო მექანიკური საშუალება ექსკავატორი.

გარდა ამისა, მერაბ უღრელიძემ გამოიტანა საკითხები, რომლებიც არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემას ეხებოდა, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოსგან თანხმობა მიიღო. სხდომაზე გადაწყდა "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" რუსთაველის ქუჩა №8-ში მდებარე ფართის 2 წლით გადაცემა.

სამანდატო, საპროცედურო, ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ საკრებულოს დეპუტატებს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ახალი წევრის, საკრებულოს დეპუტატ ბაია იმესაშვილის, სახელდებისა და სიმბოლიკის დროებით კომისიაში კი საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გენდერული თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძის დამატების შესახებ ამცნო. აგრეთვე, საკრებულომ მხარი დაუჭირა "საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში გარკვეული ცვლილებების შეტანას.

"ჯეოჰოსპიტალსის" მიზანია, მოსახლეობამ იგრძნოს, რომ საიმედო ხელშია

ნინო ნანიტაშვილი

რომ არა ექიმის მაღალი პროფესიონალიზმი, 46 წლის მამაკაცი, არ იყო გამორიცხული, ქვედა კიდურის გარეშე დარჩენილიყო. ავტოსაგზაო შემთხვევა სამტრედიის ქალაქის ცენტრში მოხდა. ფეხით მოსიარულე 46 წლის დ. ნ-ს BMV-ს მარკის ავტომანქანა შეეჯახა. სერიოზული ტრავმა ტრაგიკული შედეგით დასრულდებოდა, რომ არა დროზე ჩარეული სამედიცინო დახმარება და მერე როგორ!... "სამტრედიის მაცნემდე" მოვიდა ინფორმაცია, სამტრედიის "ჯეოჰოსპიტალსის" სამედიცინო ცენტრში ჩატარებული ოპერაცია თბილისელმა მაღალი რანგის მედიკოსებმა გერმანიის წარმატებულ კლინიკაში ჩატარებულ ოპერაციად რომ შეაფასეს.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პაციენტი სამტრედიის "ჯეოჰოსპიტალსის" მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში კვირას, 4 მარტს, 13 საათსა და 27 წუთზე შემოიყვანა. პაციენტი ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილიდან იქნა გადმოყვანილი, რომელსაც აღენიშნებოდა მარჯვენა წვივის არეში ნაფლეთოვანი დიდი ზომის ჭრილობები კუნთოვანი და ძვლოვანი ქსოვილის დეფექტით. ტრავმული პაციენტი "ჯეოჰოსპიტალსში" მორიგე ორთოპედ-ტრავმატოლოგმა, გიორგი ფუტკარაძემ მიიღო.

პაციენტს დაესვა დიაგნოზი: მარჯვენა წვივის ძვლების ღია ფრაგმენტოვანი მოტეხილობა. დიაგნოზიდან გამომდინარე სასწრაფო გადაუდებელი წესით ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა მარჯვენა დიდი წვივის ძვლების ღია მოტეხილობის არაკერეოვანი ოსტეოსინთეზი გარეგანი ფიქსაციის ღეროვანი აპარატით.

გიორგი ფუტკარაძე, ორთოპედ-ტრავმატოლოგი: "დრო რომ არ დაგვკარგა, პაციენტს სასწრაფოდ გაეწია პირველადი დახმარება, რადგან ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა ახლობლები დაჟინებით მოითხოვდნენ ტრავმირებულის თბილისში გადაყვანას. მინდა, ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი კლინიკა მზად იყო ტექნიკურად გასწეოდა პაციენტს სრულყოფილი დახმარება". მან თავისი სურვილით მეორე დღეს დატოვა სამტრედიის "ჯეოჰოსპიტალსის" მრავალპროფილური კლინიკა. მკურნალობის გასაგრძელებლად. იგი გაემგზავრა თბილისში.

ლელა ხურციძე, "ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორი: "მე მინდა, ვისარგებლო მორიგი შემთხვევით და გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან ვაუწყო საზოგადოებას, რომ ჩვენი სამედიცინო კლინიკა სრულყოფილად შეესაბამება და აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც დღეის მდგომარეობით ჯანდაცვის სამინისტრო უყენებს კლინიკებს. ეს შეეხება სამედიცინო მომსახურების ხარისხს, სამედიცინო პერსონალს, აპარატურას, ინფრასტრუქტურას. კონკრეტულ შემთხვევას რაც შეეხება, "ჯეოჰოსპიტალსში" არის ძლიერი ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური, ძლიერი ქირურგიული სამსახური. აქ, ტარდება არაერთი უნიკალური ოპერაცია, რომელიც ყოველთვის პრესის ფურცლებზე არ ხვდება. ჩვენთვის უმთავრესია, გამოწვევებს გავუმკლავდეთ და მოსახლეობამ იგრძნოს, რომ, საიმედო ხელშია. "ჯეოჰოსპიტალსი" ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ".

საფეხბურთო სტანდარტები მწვანე საფარზე

თეა ბაბუნაშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის საფეხბურთო სტადიონი სამტრედიაში ერთიანად გადათხრილია. მიზეზი, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა. რადგან მისი ხელოვნური საფარი არც ერთ საერთაშორისო სტანდარტში არ ჯდებოდა, მათზე ევროპული დონის მატჩების ჩატარება აკრძალულია, საერთაშორისო მოთხოვნებსა და მაღალ სტანდარტებზე არჩევანშეჩერებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, მწვანე საფარის მოწყობაზე შესაბამისი სამუშაოების დაწყების განკარგულება გასცა.

საერთაშორისო დონე მხოლოდ საფარი არ არის და მთლიანად სპორტული კომპლექსის მოწესრიგების გადაწყვეტილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ჯერ თავად მიიღო, ხოლო შემდეგ შესაბამის სამსახურებს გაანდო. "ფეხბურთის ფედერაცია თავის თავზე აღებული ვალდებულებით მხოლოდ მოედანზე დააგებს მწვანე ბალახს, ყველა დანარჩენი სამუშაო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან შესრულდება. მოწესრიგდება და გარემონტდება დასავლეთის მხარეს არსებული ძველი, აღმოსავლეთიდან კი ახალი ტრიბუნა აშენდება." _ ამბობს მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია.

ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორც მერთან საუბარში ირკვევა, წელს მუნიციპალიტეტის ძალებით სპორტულ კომპლექსში დახურული დარბაზის და საცურაო აუზის სარემონტო სამუსაოები ისედაც იყო განსაზღვრული. დახურულ დარბაზში, სადაც ხელბურთის გუნდი ვარჯიშობს, იატაკია გამოსაცვლელი, ხოლო საცურაო აუზზე გაყვანილობა და საშხაპეებია შესაკეთებელი. "სამუშაოები ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული უპროცენტო სესხით დაფინანსდება, რომლის დაფარვაშიც ინფრასტრუქტურის სამინისტრო დაგვეხმარება. ასე რომ, ეს თანხები მუნიციპალიტეტს არ დააწვება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტს სახელმწიფო აფინანსებს, და ჩვენც სახელმწიფოს ნაწილი ვართ." _ აკონკრეტებს ვალერიანე ფოცხვერია.

სპორტკომპლექს "სამტრედიას" დირექტორი ალექსანდრე სტურუა აღნიშნავს, რომ სამუშაოები სწრაფი ტემპითა და მაღალი ხარისხით მიმდინარეობს. იგი ზაფხულში უკვე დასრულდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ამ ერთობლივი პროექტით, თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი სამტრედიის სავიზიტო ბარათად შეიძლება იქცეს და უმთავრესი საბაბი გახდეს სამტრედიაში წარმატებული საფეხბურთო და არა მხოლოდ საფეხბურთო ტრადიციების აღდგენისა.

სანამ ფირალივით უძალიანდება გორმაღალი მენყეის

თეა ბაბუნაშვილი

გორმაღალი ერთადერთი არაა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გაღმა ზონის სოფლებში, უკვე არაერთი წელია, მეწყერს შინაურად რომ თვლის. თუმცა, ამ შემთხვევაში, გორმაღალში გზა ისეთ ადგილზე "წაიღო", გლეხებს საყანე ფართობებთან მისასვლელი მოუჭრა. არადა, ეს გზა რომ არა, რამდენიმე ოჯახი წლის სარჩო-საბადებლის საკარმიდამო ნაკვეთამდე მიტანას ვერ შესძლებს. მეწყერთან ვინ რას გახდება და, გამოსავლის მოსაძებნად გორმაღალში ჩავიდა მუნიციპალიტეტის მერი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან და ამავე სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელ ავთანდილ ნაცვლიშვილთან ერთად. ბუნებრივია, მათ მეგზურობას თემში გამგებლის წარმომადგენელი ხათუნა ლებანიძე უწევდა. სულაც მან ჩააყენა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საქმის კურსში, მეწყერი ურჩობს და მოგვეშველეთო: "2017 წლის 14 დეკემბერს მეწყერმა გზის ეს მონაკვეთი "ჩაგდო," ხემ დაიჭირა, თორემ უფრო ცუდი მდგომარეობა იქნებოდა. ამ ადგილს ვაჩეიშვილების უბანს ვეძახით. მერე ყველა წვიმის დროს ემატებოდა ზიანი და ახლა ხედავთ, რა მდგომარეობაცაა. გზის შეკეთება აუცილებელია, რადგან რამდენიმე ოჯახს საყანე ფართობები ამ გზის გადაღმაა."

მეწყერსაშიშ გორმაღალში ბზარები ყველა ოჯახს აქვს. 6 მათგანი დაზარალებულად ოფიციალურად ითვლება, ორს, პირველ კატეგორიამინიჭებულს, სახელმწიფომ ცოტა ხნის წინ აუნაზღაურა ზარალი 26 ათასი ლარით, კიდევ ერთს კი ახლახან მიანიჭა დაზარალებულის პირველი კატეგორია.

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, სოფელში რომ გაკეთდა, გორმაღალი ისეთ მეწყერსაშიშ ზონას მიეკუთვნება, სადაც მიწისქვეშა ქანებში წყალი ისე გადის, როგორც სისხლი სისხლძარღვებში. დიდი რისკია, დროთა განმავლობაში სოფელი ნელ-ნელა ჩაიტანოს

კიდეც.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია გეოლოგების დასკვნაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ "მეწყერსაშიშ გორმაღალში ასეთი სიტუაცია ახალი არ არის. სახელმწიფო დახმარებას უწევს იმ ადამიანებს, რომლებიც გასახლებას ექვემდებარებიან. ამის მაგალითი ცოტა ხნის წინ გვქონდა კიდეც მუნიციპალიტეტში, ორი ოჯახი 26 ათასით დაკმაყოფილდა. ეს ის საბაზრო ღირებულებაა, რითაც ისინი საცხოვრებელი სახლის შეძენას შეძლებენ. თუ კიდევ გამოჩნდება ასეთი ოჯახი, სახელმწიფო მათაც დაეხმარება. მეწყერისგან წაღებულ ამ გზას, შეძლებისდაგვარად, მოკლე დროში შევაკეთებთ."

რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია, ამბობს, რომ "გზის შეკეთება შესაძლებელია. თავდაპირველად ჯებირი უნდა გაკეთდეს და მერე მოიხრეშოს ეს ადგილი. 19-20 ნოემბერს სტიქიისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მუნიციპალიტეტს 500 ათასი ლარი გამოეყო. პროექტები უკვე შედგენილია და მაშინდელი ზარალის ასანაზღაურებლად მუშაობაც მიდის. მაშინ ეს კონკრეტული შემთხვევა არ იყო მომხდარი და, ბუნებრივია, ეს გზა ჩამონათვალში ვერ მოხვდებოდა. ახლა ვაცნობებთ შესაბამის უწყებებს და თანხა გამოიყოფა საჭირო სამუშაოების დასაფინანსებლად."

270 კომლიან გორმაღალში მუდმივად 173 ოჯახი ცხოვრობს. ფირალივით მარტო ვარ ამ კუთხეში, მეზობელი არ მყავსო, გურულად მოუქცია იქაურმა სულეიმან ვაჩეიშვილმა. სწორედ მის სახლთან ტრანსპორტით მისასვლელი გზა გაატანა წყლით გაჟღენთილმა მიწისქვეშა ქანებმა მეწყერს. გეოლოგების პროგნოზი, მართალია, სახარბიელო არ არის, მაგრამ გრძელვადიანი ნამდვილად გახლავთ. ჰოდა, სანამ გორმაღალს შეჩვეული მეწყერის არ ეშინია და უძალიანდება მარტო დარჩენილი ფირალივით, გზაც სჭირდება და სხვა სიკეთეც. გზას კი, როგორც დაპირდნენ, მალევე აღუდგენს შესაბამისი სამსახური აქაურებს.

მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ლევან გაბეჩავა

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

გაზაფხულის პირველ დღეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში კვლავ შეიკრიბა გენდერული საბჭო. ამჯერად ადგილობრივი სააგენტო "საქართველოს" აღმასრულებული დირექტორი, ქალბატონი ნინო ხუხუა და პროექტის "მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში" კოორდინატორი, ქალბატონი მაკა ცერცვაძე სტუმრობდნენ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

მათ შეკრებილთ სამტრედიის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ვრცელი ანგარიში წარუდგინეს და ამომწურავად, სიღრმისეულად ისაუბრეს იმ პრობლემებზე, მუნიციპალიტეტში რომ გამოიკვეთა.

აღინიშნა, რომ გენდერული თანასწორობის კუთხით, ძალისხმევა მას შემდეგ გააქტიურდა, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ.

ითქვა იმის შესახებაც, რომ გენდერული საბჭოების ქმედითი მუშაობისათვის აუცილებელია ფინანსური მხარდაჭერა, უმნიშვნელოვანესი ინიციატივების წახალისება და ა. შ.

განხილულ იქნა რიგი შემთხვევებისა და მათი აღმოფხვრის, მოგვარების გზებიც დაისახა.

გულახდილ დიალოგში აქტიურად ჩაერთვნენ გენდერული საბჭოს წევრები, ქალბატონები მანანა სირბილაძე, ლიზა კრავეიშვილი, ბატონი გიორგი ლეჟავა და სხვები.

შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის, საინტერესო საუბრისათვის, რჩევების, რეკომენდაციებისათვის და საბჭოს სახელით სრული მზაობა გამოთქვა გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემების მოგვარების საქმეში.

...

სხდომის დასრულების შემდეგ ერთი აზრი ამეკვიატა მოსვენებას რომ არ მაძლევს, დღეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები დროსთან ერთად, ენერგიას, ფინანსებს ხარჯავენ გენდერული კუთხით მუშაობა ფართო და ყოვლისმომცველი რომ გახდეს.

როცა გენდერული საბჭოების მუშაობაზეა საუბარი, ძირითადი აქცენტი ამ ეტაპზე მაინც ქალთა უფლებების დაცვისაკენაა მიმართული. ხსენებული ფოკუს ჯგუფებისთვისაც კვლევის ობიექტები ქალბატონები იყვნენ. გადავხედეთ, გავეცანით კვლევის შედეგებს და აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ქალბატონები ძირითადად სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სამუშაო პირობების რამდენადმე მაინც მოწესრიგებას (გარე მოვაჭრეები) და ა. შ. მოითხოვენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოითხოვენ იმას, რასაც არცთუ დიდი ხნის წინ პროფესიული კავშირები (პროფკავშირები) აკეთებდნენ.

საქართველოში დღეისათვის ნულის ტოლია პროფკავშირული მუშაობა. მუნიციპალიტეტში გარდა რკინიგზისა არ არსებობს, (თუ არსებობს არსად სჩანს) პროფკავშირების საქმიანობა. თემა ვითომ შარშან წამოიწია, როცა საქართველოში ჩინელმა დამსაქმებელმა ქართველ მუშას თავი ნაჯახით გაუხეთქა, მაგრამ საქმე მინელდა. საინფორმაციო საშუალებები ხშირად გვამცნობენ, თუ როგორ, შემოდგომის ფოთოლივით სცვივიან მშენებლობებიდან მუშები. სადაა დაცული მუშათა, დასაქმებულთა უფლებები?

ქართული მაქსიმალისტობით კომუნისტური პარტიის უარყოფასთან ერთად უარვყავით პროფკავშირული მუშაობა და შედეგებს ამჟამად ვიმკით. ეს მაინ, როცა პროფკავშირული მოძრაობა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც წამყვან როლს, ფუნქციას ასრულებენ. არ უარვყოფთ გენდერული კუთხით ძალისხმევის გააქტიურებას, მაგრამ გენდერული ბალანსი დაცულია, თუ არა, მაინცაა აუცილებელი ქალთა საზოგადოებების (საბჭოების) არსებობა? სხვათაშორის გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანას ერთდროულად დაატყდა თავს სამოქალაქო ომი "მხედრიონისა" და მასთან ჩაფსკვნილ-ჩამარყუჟებული (უკაცრავად მკითხველთან ჟარგონისათვის) სუსტნებისყოფიან ჩინოვნიკთა პარპაში, ეკონომიკური მოშლილობა და ა. შ. სწორედ მაშინ ზენიტში იყო ასული ქალთა შორის მუშაობა, რომელსაც სამტრედიის მაგალითზე, ენთუზიაზმით, უხელფასოდ ასრულებდნენ რაიონის ქალთა საზოგადოების აქტივისტები. დღეს კი, დღეს ვითომ ზედმეტია ქალთა საზოგადოებამაც რომ გაბედული, წონიანი სიტყვა თქვას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში?

მთავარი და უმთავრესი, რასაც ათჯერ (თუ მეტად არა) ჩემზე უკეთ ხვდებიან ხელისუფალნი, ესაა დასაქმების პრობლემა.

ვიდრე თუნდაც ერთი ქალი მაინც ცრემლით ალბობს ბალიშს შორეულ თურქეთში, ესპანეთში, იტალიაში... ოჯახის სარჩენად წასულს ოჯახი, შვილები რომ ენატრებათ, ვიდრე საქართველოში ერთი ბავშვი მაინც იღვიძებს და იძინებს დედის ალერსის გარეშე.

ვიდრე...

ვიდრე...

ქალთა საბჭოების არსებობა თუნდაც იმიტომაა საჭირო, რომ ის საკითხები, რაც ძირითად მოვალეობასთან ერთად გენდერული საბჭოს წევრებმა უნდა შეასრულონ, იმდენ ძალისხმევას მოითხოვს, რომ საბჭოს წევრები ან ძირითად საქმიანობას უნდა მოწყდნენ, ან ჯანმრთელობა უნდა დაკარგონ, ან ოჯახებზე უნდა აიღონ ხელი.

ასე რომ...

კიდევ მეტი უნდა ითქვას და გაკეთდეს ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი

მიტროპოლიტი ნაზარი

ლევან გაბეჩავა

_ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის _ ავტოკეფალიის დღის მოახლოებასთან დაკავშირებით გვსურს გავიხსენოთ ჩვენი თანამემამულე სასულიერო მოღვაწე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა.

მიტროპოლიტი ნაზარი, ერისკაცობაში ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავა 1868 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში დაიბადა, მღვდლის ოჯახში.

1893 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ დიაკვნად აკურთხა, იმავე წელს მღვდლად დაასხა ხელი.

მრავალმხრივ განათლებული სასულიერო მოღვაწე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ვოლინის სასულიერო სემინარიაში.

1911 წელს საკუთარი თხოვნის საფუძველზე საქართველოს საეგზარქოსოში გადმოიყვანეს, სხვადასხვა წლებში გახლდათ გარეჯის მამათა მონასტრის წინამძღვარი, აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესი, პარალელურად აქტიურად იღვწოდა და იბრძოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

მიტროპოლიტი ნაზარი 1917 წელს მონაწილეობდა პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში.

1918 წელს იგი ეპისკოპოსად აკურთხეს და ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად დანიშნეს, მიენიჭა მიტროპოლიტის წოდება.

ნაზარი ლეჟავა განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო სასულიერო პირთა შორის, არამედ სრულიად საქართველოში. სწორედ ამას არ პატიობდა მას საბჭოთა რეჟიმი, და ჯიუტად ბრძოლას ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ისტორიისათვის სისხლიანი 1924 წელი ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოსა და ქართული ეკლესიის ბედზე, მომავალზე დამაშვრალი მოღვაწისათვის.

...

1924 წლის 2 სექტემბერს, შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებული მიტროპოლიტი, სასულიერო პირებთან ერთად დახვრიტეს.

1995 წლის 17 სექტემბერს კი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) წმინდანად შერაცხა, (ხსენების დღე 27 აგვისტო), უფლის მადლად აღიქვამენ ყოველივეს სამტრედიელები.

ნაზარი ლეჟავას სახელს ატარებს სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლა და ამჟამად თბილისის მერის, კახა კალაძის ძალისხმევით აგებული მშვენიერი ტაძარი ნაბაყევში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ კომუნისტების ზეობის ეპოქაში, დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სკოლის ახალგაზრდა პედაგოგს, სოფლის მკვიდრმა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულმა, უგანათლებულესმა ახალგაზრდა კაცმა, ბატონმა ჯემალ ლეჟავამ მაუწყა მნიშვნელოვანი ეპიზოდები მიტროპოლიტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. მაგრამ მაშინ ამ თემაზე საუბარი ხმამაღლა არ შეიძლებოდა.

ბატონმა ჯემალმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (მოიძია, შეკრიბა) ისტორია სოფელ დიდი ჯიხაიშისა, ამ სოფელში მოღვაწე სასულიერო პირებისა.

სამტრედიის ენციკლოპედიაში 756-ე გვერდზე გამოქვეყნებული სურათიც, რომელზედაც სოფელ დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის უბნის სამრევლო სკოლა და მისი მმართველი, მღვდელი მოსე ლეჟავა არიან გამოსახულები, ბატონი ჯემალის საოჯახო არქივში მაქვს ნანახი.

სურათზე ერთ-ერთი მოსწავლე გახლავთ ბატონი აკაკი ლეჟავა, ჯემალ ლეჟავას ბაბუა, რომელიც 1980 წელს გარდაიცვალა.

მომდინარე წელი საიუბილეოა, 150 წელი სრულდება მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას დაბადებიდან, ვიმედოვნებთ, არა მარტო მართლმადიდებლური სკოლა, არამედ მუნიციპალიტეტის საზოგადოება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ჯეროვნად აღნიშნავენ ღირსეული მამულიშვილის იუბილეს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა დიდა ეკლესიის ავტოკეფალიის (12-25 მარტი) აღდგენის საქმეში.

საინფორმაციო ცენტრი უვიზო მიმოსვლის შესახებ

ლევან გაბეჩავა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, 5 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მერიის, საკრებულოს, ქალაქში, დაბასა და სოფლებში მერის წარმომადგენლობების პასუხისმგებელ პირებს შეხვდნენ.

სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ იმერეთის რეგიონის კოორდინატორი მარიკა ვაჭარაძე და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, შეკრებილთ საინტერესოდ ესაუბრნენ უვიზო რეჟიმის სიკეთესა და იმ პრობლემებზე, მთელ რიგ ქვეყნებში რომ შექმნეს ჩვენდა სამწუხაროდ, ევროპაში წასულმა ჩვენმა თანამოძმეებმა.

2017 წლის 28 მარტიდან დღემდე უვიზო რეჟიმით საქართველოს მოქალაქეებმა ისარგებლეს დაახლოებით, 240 000-ჯერ. საქართველოს მოქალაქეებს ვიზალიბერალიზაციით სარგებლობის კუთხით დღეს საფრთხე არ ემუქრებათ, თუმცა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის წესების დარღვევისა და თავშესაფრის პროცედურებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, დადგეს უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა აირჩიონ მხოლოდ კანონიერი გზა ევროპაში გასამგზავრებლად და არ გამოიყენონ თავშესაფრის პროცედურები არაკანონიერი მიზნებისთვის. ევროკავშირის (შენგენის) წევრ ქვეყნებში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლების განცხადების 97% არ კმაყოფილდება, მათ უარს ეუბნებიან სტატუსის მინიჭებაზე და უკან აბრუნებენ სამშობლოში.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერების მყისიერი საფრთხე არ დგას, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით ეკიდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების წუხილს და დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს შექმნილი ვითარების გაუმჯობესების, რისკების შემდგომი შემცირებისა და პრევენციის მიზნით. ამავდროულად, კამპანიის ამოცანაა, დაიცვას ჩვენი მოქალაქეები არასწორი მოლოდინებისაგან და თავიდან აიცილებინოს ის საფრთხეები, პრობლემები რაც მათ მიერ უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევას მოჰყვება. მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები ევროკავშირის (შენგენის) ზონის ქვეყნებთან საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარების და საქართველოდან თავშესაფრის განაცხადების განხილვის პროცედურის გამარტივებისა და ვადების შემცირების შესახებ, ასევე, ერთობლივი თანამშრომლობა კრიმინალთან ბრძოლაში. იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები გვარის შეცვლის მექანიზმების გამკაცრების მიზნით და სხვა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, მასში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა ტარიელ დვალიშვილმა, ბეჟან გეგეშიძემ, ქალბატონმა ნანა ფოცხვერიამ და სხვებმა.

აღვნიშნავთ, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ცნობადობის ამაღლებას ევროპის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლას რომ უკავშირდება.



მეოთხე საჯარო სკოლა მეორე ტურის ლიდერია

გრძელდება ინტელექტუალური თამაშის "რა? სად? როდის?" სასკოლო ლიგის მეორე ტური. თამაშს რეგულარული ჩემპიონატის სახე მიეცა, პირველი ტური მესამე საჯარო (დირექტორი ვენერა ივანიშვილი) სკოლაში გაიმართა, მეორე ტურის შეხვედრას კი, 4 მარტს, პირველმა საჯარო სკოლამ (დირექტორი ხათუნა ფაილაძე) უმასპინძლა. თამაშში 17 საჯარო სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ამჯერად თამაშის წამყვანი სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის "ინტერსტელარის" წევრი, ლევან ცირეკიძე იყო. ამ დღეს სწორედ მის მიერ მომზადებულ კითხვებზე მოუწიათ პასუხების გაცემა ახალგაზრდებს. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ლევან ცირეკიძემ განაცხადა: "შედეგით კმაყოფილი ვარ, უკეთ ითამაშეს, ვიდრე წინა ტურში, ვეცადეთ, კითხვები მრავალფეროვანი ყოფილიყო მითოლოგიიდან, ფილმებიდან, რელიგიიდან, ლიტერატურიდან, იმატა კონკურენციამაც, ბავშვებმა უფრო რთულ კითხვებს გასცეს პასუხები, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად ემზადებიან და მეტი გულისყურით ეკიდებიან საქმეს." სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრი, ლაშა ლორია: "ჩვენი მიზანია, ყველა ტურში მიიღოს ყველა გუნდმა მონაწილეობა, რათა აუცილებლად განვითარდეს ბავშვების აზროვნება. მეორე ტური იყო ძალიან საინტერესო, პროგრესი სახეზეა, ბავშვები დღითიდღე ვითარდებიან, რაც ყოველ მომდევნო ტურზე იგრძნობა. საბოლოოდ ჩვენ მივიღებთ ძალიან ბევრ ძლიერ მოთამაშეს. "

ორივე ტურის შემდეგ გუნდების შედეგები ასეთია: პირველი ადგილი _ მეოთხე საჯარო სკოლა (23 ქულა, დირექტორი ვაჟა კუცია). მეორე ადგილი _ პირველი საჯარო სკოლა (21 ქულა), მესამე ადგილი _ მეთერთმეტე საჯარო სკოლა (21 ქულა, დირექტორი ლენა ხაჟალია) მეოთხე ადგილი _ მესამე საჯარო სკოლა (21 ქულა). მეხუთე ადგილი _ მერვე საჯარო სკოლა (20 ქულა, დირექტორი ჯულიეტა ჩხაიძე).

ნათია ნაცვლიშვილი

იის კონა შრომით გალამბული დღეებისთვის

თეა ბაბუნაშვილი

გაზაფხული ტყემლის ყვავილით ათოვს ნაზამთრალ ქუჩებს. მარტის ჭირვეულობა სამკაულად შვენის ქალურ ბუნებას. როდის, თუ არა გაზაფხულზე, მარტის გამოდარებად, მზის ღიმილად მიულოცავდნენ ქალს ქალურობის, დედობის დღესასწაულს. და რადგან ქალი გაზაფხულის გაზაფხულია, სარვამარტოდ სული აუჭრელეს სითბოთი და სიყვარულით.

მუნიციპალიტეტის მერიამ ისინი მოიპატიჟა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის განსაკუთრებით გასალამაზებლად, ვინც წლები შრომას შეალია, ქალური ღირსებით თქვა საკუთარი სათქმელი, ნემსის ყუნწში გაძვრა და ხელოვნებად აქცია ერთი შეხედვით უბრალო ყოველდღიურობა. საკუთარი შრომით გალამბული დღეების ქრონიკა იის კონასავით გულწრფელი სითბოთი მიულოცეს მკერავ-დიზაინერ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამკერვალო საწარმო ''გვირილასა'' და კულაშის სამკერვალო ორგანიზაცია ''შემთექს- ჯორჯიას'' თანამშრომლებს.

სამუსიკო სკოლის დარბაზში შეიკრიბნენ. საკონცერტო სანახაობა, რომელიც მათ მიეძღვნა, მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო. ფასიანი საჩუქრები მოწვეულ სტუმრებს გადაეცათ, დარბაზში მყოფი ყველა ქალბატონი კი ყვავილებით დასაჩუქრდა. როგორც კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე აღნიშნავდა: ''უკვე რამდენიმე წელია, გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულს სხვადასხვა პროფესიის ქალბატონებს ვულოცავთ, გვყავდნენ მეეზოვეები, ექიმები, პედაგოგები. წელს მკერავ-დიზაინერებთან გადავწყვიტეთ შეხვედრა. ისევე როგორც ყველა იდეას, ჩვენი სამსახურიდან წამოსულს, ამასაც დაუჭირა მხარი მუნიციპალიტეტის მერმა და ვფიქრობთ, განსხვავებული დღე ვაჩუქეთ ადამიანებს, საკუთარი ხელით რომ ქმნიან ქალთა ბედნიერებას.''

მუნიციპალიტეტის მერიიდან და საკრებულოდან მოწვეული სხვა სტუმრების შემდეგ, ვალერიანე ფოცხვერიას დროც დადგა. გალაკტიონის ლექსით მიულოცა მან ქალთა საერთაშორისო დღესასწაული ქალბატონებს და დასძინა: ''გილოცავთ ამ ლამაზ დღეს, თქვენით, ქალბატონებით კიდევ უფრო გალამაზებულს! კულტურის სამსახურმა ეს იდეა რომ გააჟღერა, ქართული ფილმი მომაგონდა, ''სიყვარული ყველას უნდა.'' დიახ, ყველას უნდა სიყვარული და განსაკუთრებით ქალებს სჭირდებათ იგი. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. რაც ყველაზე მთავარია, ქალისთვის, დედობის ბედნიერება ყველა თქვენგანს გწვეოდეთ.''

გაზაფხულია, ისევ ერთად ვართ

ასე ერქვა ლამაზ ღონისძიებას, 7 მარტს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საზოგადოება ''სამტრედიელის'' ერთობლივი ძალისხმევით რომ გაიმართა.

მიწვეულ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ღირსეული ქალბატონები, მეჩაიები: დარიკო მსხილაძე, მზია თავაძე. ყოფილი რაიაბრეშუმის დირექტორი გოგოლა ნაცვლიშვილი, პენსიონერი პედაგოგი ციცინათელა ლალიაშვილი, ექიმი რუსუდან წილოსანი, პედაგოგი ვიოლეტა გაბიძაშვილი და სხვები.

საღამო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა გულიკო ცინცაძემ გახსნა, რომელმაც დაახასიათა მოწვეული ქალბატონები და ხანგრძლივი სიცოცხლე, დედური, ქალური ბედნიერება უსურვა თითოეულს. ლამაზი საღამო ლამაზი ჰანგებით, ჯავარიანი ქართული ლექსით კიდევ უფრო გაალამაზეს ნოღისა და ტოლების საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, პედაგოგების ბადრი კვანტალიანისა და ზურაბ მეფარიშვილის, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა პედაგოგ მარინე ქართველიშვილის ხელმძღვანელობით.

ღვაწლმოსილ ქალბატონებს საზოგადოება ''სამტრედიელის'' სახელით საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, მოგელი კუპრეიშვილი, ''სამტრედიის მაცნეს'' სახელით ლევან გაბეჩავა მიესალმნენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ტატა გოგუაძემ და მუზეუმის ხელმძღვანელმა გულიკო ცინცაძემ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები და თაიგულები გადასცეს.

15 წელია, არ ვმუშაობ, მეგონა, არავის ვახსოვდი, თავს ცოცხლად არ ვთვლიდი, ცხოვრების ხალისი დამიბრუნეთ, მადლობა თქვენ, ამაღელვებელი იყო ქალბატონი ციცინათელა ლალიაშვილის გამოსვლა.

საღამოს ორგანიზატორებს მადლობა ქალბატონებმა გოგოლა ნაცვლიშვილმა და რუსუდან წილოსანმაც მოახსენეს.

შევიტყვეთ, რომ ქალბატონ გოგოლას 7 მარტს 80 წელი შესრულებია, ამდენად, ეს დღე მისთვის ორმაგად სამახსოვრო იქნება.

ვისზე ნაკლები ევროპელები ვართო და, სახელდახელოდ გაშლილ მაგიდასთან დედების, ქალების სადიდებლად ითქვა თითო ჭიქა.

ყოჩაღ, ღონისძიების ორგანიზატორებს ენერგია არ დაგშრეტოდეთ, ფანტაზია არ დაგლეოდეთ!

ლევან გაბეჩავა

ნაძღვილი გაზაფხული შემოვიდა ჩვენი სახით

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა 3 მარტს, დედის დღეს, ჩოხებში გამოწყობილი პატარების ჟრიამულმა აახმიანა. მეოთხე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, გამგებლის მოადგილეებს ირაკლი სულავასა და დავით ბახტაძეს, საკრებულის თავმჯდომარეს ნუგზარ ჯამბურიას და მის მოადგილე კობა ძიძიგურს გაზაფხულის დადგომა მიულოცეს. პატარები ბაგა-ბაღის მმართველ ნანა დუნდუასთან, მეთოდისტებთან მარინა ქოჩოვთან და მარინა ბაღდავაძესთან და პედაგოგებთან ერთად ასევე ეწვივნენ საჯარო სამსახურში დასაქმებულ ქალბატონებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ქალბატონებს, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას, ''სამტრედიის მაცნეს''. პატარა ჩოხოსნების გამოჩენა მართლაც შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო. პატარებმა მათი ფანტაზიითა და მარჯვე ხელებით შექმნილი სუვენირები საჯარო მოხელეებს საჩუქრად გადასცეს, ხოლო, ქალბატონები ყვავილების კონებით დაასაჩუქრეს. ყოველ კაბინეტში შესული პატარები ნანა დუნდუასთან ერთად ლამაზი ქართული ლექსებით ულოცავდნენ მასპინძლებს გაზაფხულის მოსვლას.

ნანა დუნდუას სამართლიანად ეძახიან იდეების გენერატორს. ხან ჯარისკაცის ფარაჯაში, ხანაც ქართულ ჩოხებში გამოწყობილი მეოთხე ბაგა-ბაღის აღსაზრდელების გამოჩენა ქალაქის ქუჩებში თუ რომელიმე შენობაში ყოველთვის საინტერესო იდეის ფრთაშესხმასთან ასოცირდება. აღნიშნულ აქციასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში აქა-იქ კრიტიკული პოსტებიც გაჩნდა, აქოდა, ეს პატარები ჩოხებში ''გამოსკვანჩეთო''. არადა, ვფიქრობთ, არავის ეპატიება ბავშვების მიმართ მსგავსი ეპითეტების გამოყენება, როგორც არ უნდა დაიწუნო უფროსების შემოქმედებითი უნარი.

''სამტრედიის მაცნემ'' კომენტარები სთხოვა საჯარო მოხელეებს. ნუგზარ ჯამბურია: ''გაზაფხული ბავშვების ჟრიამულმა შემოიტანა, დღეს აქ სილამაზეა, სიხალისეა, როცა ასე იწყება დილა, იოლად წყვეტ ყველა პრობლემას''.

კობა ძიძიგური: ''ამ ბავშვების სახით ჩვენს ჩოხოსანთა გაერთიანებას ახალი შევსება აქვს, უდიდესი სიხარულია, ნამდვილი გაზაფხული შემოვიდა მათი სახით, მართლაც დიდებული საჩუქარია ეს პატარები''.

დავით ბახტაძე: ''ძალიან ლამაზი განწყობა შეგვიქმნეს, დღე გაგვილამაზეს, მათ წარწერით საჩუქარიც მაჩუქეს, ძალიან გამახარეს, დიდი მადლობა მათ და მათ აღმზრდელებს.''

როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი

მიხანი 50 არა, მისასვლელი გზები ყნლა შეცვალო

ქეთევან ჭელიძე

ლევან ჯინჭარაძე რამდენიმე დღეა, სამტრედიას სტუმრობს. მისი იდეებისა და საქმიანობის შესახებ ჩვენთვის ჯერ კიდევ ადრე იყო ცნობილი. ამჯერად მას თავისი მასპინძლისა და თანამოაზრის, თამაზ ნიკურაძის მეშვეობით შევხვდით.

ბატონი ლევანი აფხაზეთიდან დევნილია, თბილისში ცხოვრობს და სტამბა "პოლიგრაფში" მუშაობს. პროფესიით ინჟინერია, ორმად განათლებული და ინტელექტუალური პიროვნება, უყვარს თავისი ქვეყანა და დღემდე უცრემლოდ ეძნელება გაგრაზე, აფხაზეთზე საუბარი.

წარმოშობით რაჭველი, კეთილშობილი კაცის, გურგენ ჯინჭარაძის ოჯახში აღიზარდა. ბატონი გურგენი, "ახალგაზრდა კომუნისტისა" და "შებრძოლი გუშაგის" კორესპონდენტი, ბოლნისის გაზეთ "გამარჯვების დროშის" რედაქტორი, შვილებს ყოველთვის აძლევდა პატიოსნების, სამართლიანობისა და ქვეყნის სიყვარულის მაგალითს. მამის უკეთ დასახასიათებლად ერთ ფაქტსაც იხსენებს ბატონი ლევანი. ედუარდ შევარდნაძესთან დაპირისპირების გამო უსამართლოდ როგორ გაათავისუფლეს უკომპრომისო რედაქტორი თანამდებობიდან და ბოლნისში, არქივში გაუშვეს სამუშაოდ. იქ კი, უძველეს საარქივო მასალებს შორის, მეულლესთან, ქალბატონ ქეთევანთან ერთად შემთხვევით როგორ აღმოაჩინა 1675 წელს გუტენბერგის მიერ გამოცემული ოთხთავი, რომლის არსებობაც არავინ იცოდა. როგორ ჩააბარა იგი სახელმწიფო არქივს, მას შემდეგ, რაც ბოლნისში საგამოფენოდ გამოტანილი ამ უიშვიათესი წიგნიდან, შვებულებიდან დაბრუნებულს, ორი ძვირადღირებული ილუსტრაცია ამოხეული დახვდა.

ჯერ მოსკოვის, შემდეგ თბილისის 41-ე, ბოლოს ბოლნისის საშუალო სკოლაში სწავლობდა ლევან ჯინჭარაძე. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, სადაც ნაწილის 1300 კაციან კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. კაზრეთში, "მადნეულში" მუშაობის პერიოდშიც კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო და კომკავშირული მშენებლობის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

წლების შემდეგ იგი ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს წარმატებით ამთავრებს. მიუხედავად შეთავაზებისა, კათედრაზე დარჩენილიყო, გაგრაში ჩადის, სადაც მისი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო მამა კულტურის სახლის "კოლონადას" დირექტორად დაინიშნა. ჩვენი რესპონდენტი ჯერ "გაზკანტორაში" უფროს ინჟინრად იწყებს მუშაობას, შემდეგ კი კასპარიანის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ხდება. თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი ლვოვიდან ხაბაროვსკამდე მოიარა, ბევრი მეგობარი და ახლობელი შეიძინა.

ცნობილი მოვლენების გამო ისიც ტოვებს აფხაზეთს და თბილისში ბრუნდება. აქ კი წლების მანძილზე რამდენიმე ადამიანთან ერთად მუშაობს პროექტზე, რომელიც აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ერთ-ერთ გარანტად მიაჩნია. პროექტის მნიშვნელობასა და მის უპირატესობაზე თავად ბატონი ლევან ჯინჭარაძე გვესაუბრება.

ჩვენი პრობლემა დევნილების სახლში დაბრუნებაა, როგორც ჰუმანიტარული აქტის შესრულება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი _ როგორც პოლიტიკური აქტი, რაც მხოლოდ ქართველების და აფხაზების საქმეა. მსოფლიოში ჩვენზე უკეთ იციან, ვინ ვართ. ჩვენ ჩვენი სახნავი უნდა გავხნათ, გასამარგლი _ გავმარგლოთ, ვეძებოთ გზები აფხაზებთან მისასვლელად _ ეს არის ჩვენი დღევანდელი დევიზი. ჩვენს შორის შუამავალი ვერ ჩადგება, ეს შეურაცხყოფად მიაჩნია აფხაზებს.

_ ამ კონფლიქტს ეთნიკურის გარდა, ჰქონდა თუ არა სხვა მიზეზები?

_ ადრე ამას არაფერი საფუძველი არ ჰქონდა. შემდეგ ჩვენ შორის მოხდა 2 საუკუნოვანი გაუცხოება. მაგალითს მოგიყვანთ: რუსები რომ საქართველოში შემოვიდნენ და სოლომონ მეორეს ომი დაუწყეს, შემოეერთებინათ იმერეთი, რაჭის ერისთავმა რუსეთის მხარე დაიჭირა, დედამისმა უღალატა სოლომონს, ბიძამ უღალატა, ხუტუნა შერვაშიძე კი თავისი ლაშქრით ჩამოვიდა და სოლომონის გვერდით დადგა. ჩვენ მეტი გვაერთიანებს, ვიდრე გვაშორებს. ამიტომ ქართველებმა უნდა მოვიხადოთ ჩვენი წილი ბოდიში მათ მიმართ.

_ რა კონტექსტში უნდა მოვიხადოთ ბოდიში?

ჩვენ, 5 მილიონი ბრიყვი, აღმოვჩნდით თქვენი, 50 ათასი ბრიყვის წინააღმდეგ. ჩვენ ვერ გავთვალეთ, რომ ეს იყო მესამე მხარის ჩამოგდებული ინტრიგა.

_ მაგრამ პრობლემური ურთიერთობები თვით ქართველებსა და აფხაზებს შორისაც არსებობდა.

_ ცნობილია, რომ სიტყვა არ გამოხატავს რეალობას, არამედ აღნიშნავს მას, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის მოხდა, თქვენ რა დეფინიციას მიანიჭებდით?

_ კონფლიქტი და არა ომი, სადაც ჩაერია მესამე მხარე და დემოგრაფიულად გაწმინდა აფხაზეთი ქართველებისაგან.

_ მაგრამ არის კი განსაზღვრული, რომ ეს იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი?

_ ამას კატეგორიულად არ ეთანხმება ქართული მხარე. მათ უნდათ წარმოაჩინონ, რომ ეს არის ქართულ-რუსული კონფლიქტი და ქართველების და რუსების მოსაგვარებელია. ამიტომ ველაპარაკებით კარასინს და არა აფხაზებს. რატომ არ ვაწარმოებთ აფხაზებთან მოლაპარაკებას? რატომ გვინდა, რუსეთიდან მოვაგვაროთ მათთან ურთიერთობა? ჩვენ ერთმანეთს 5-7 ათასი წელია ვიცნობთ. თავი დავანებოთ მსოფლიოს. ყველამ თავის საქმეს მიხედოს, ჩვენ _ ჩვენსას. ჩვენი პრობლემა დევნილების სახლში დაბრუნებაა, როგორც ჰუმანიტარული აქტის შესრულება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი _ როგორც პოლიტიკური აქტი, რაც მხოლოდ ქართველების და აფხაზების საქმეა. მსოფლიოში ჩვენზე უკეთ იციან, ვინ ვართ. ჩვენ ჩვენი სახნავი უნდა გავხნათ, გასამარგლი _ გავმარგლოთ, ვეძებოთ გზები აფხაზებთან მისასვლელად _ ეს არის ჩვენი დღევანდელი დევიზი. ჩვენს შორის შუამავალი ვერ ჩადგება, ეს შეურაცხყოფად მიაჩნია აფხაზებს.

_ ამ კონფლიქტს ეთნიკურის გარდა, ჰქონდა თუ არა სხვა მიზეზები?

_ ადრე ამას არაფერი საფუძველი

_ მოვაბეზრეთ თავი, რაც ჩვენი ამპარტავნობით იყო გამოწვეული. მთიდან ჩამოთრეულებს ვეძახდით და არც ისინი იხევდნენ უკან. ორი ქართველი რომ ერთად იდგა და ლაპარაკობდა, მოვიდოდა აფხაზი და "საბაჩიი იაზიკ" _ მოგაძახებდა. გაუცხოება გვქონდა განსაკუთრებით ბოლო წლებში, დაახლოებით, 1956 წლიდან. ეს სიტუაცია რუსეთის მიერ ხელოვნურად იყო შექმნილი.

პირველად ვეკუა მოკლეს სოხუმში უნივერსიტეტის თაობაზე. ექვსი ბიჭი რომ მიაკლეს ერთმანეთს აბობოქრებულმა აფხაზებმა რკინიგზის სადგურზე, ჩვენს შორის გაჩნდა სისხლი. როცა ეს მოხდება, მერე შერიგება ძნელია, სისხლი არ უნდა დაუშვა.

თავიდან ვფიქრობდით, რომ უპასუხოდ არ უნდა დაგვეტოვებინა, რაც ქართველებს დამართეს აფხაზეთში, მაგრამ მივხვდით, რომ ეს გამოსავალი არ არის. ჩვენ უშუალოდ უნდა მივმართოთ აფხაზებს, გადავუშალოთ, რა გეგმები გვაქვს. 50-დან 10 კაცმა რომ გაიგოს ჯერ, ესეც საკმარისია. რუსეთიდან ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ. ისინი მესამე რომის შექმნას ცდილობენ და საქართველოს გარეშე ეს ვერ მოხერხდება. თუ უკრაინა არის წყარო რუსი გენის შემოდინების, ჩვენ ვართ საკრალური სახელმწიფო, ერთადერთი პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც ბიზანტიისაგან მიიღო ესტაფეტა მართლმადიდებლობის. რომი რომ შექმნა, უნდა გქონდეს მართლმადიდებლობის უწყვეტი ჯაჭვი, რომელსაც ასე უფრთხილდება რუსეთი. ამის გარეშე რისი შექმნაც უნდა მას, ჩაიფუშება.

_ როგორ შეძელით კონფლიქტის დროს გაგრიდან გამოსვლა? როგორც ვიცი, ბრძოლაში არ მონაწილეობდით?

_ ის, რომ არ ვიბრძოლე, საქებარი არაფერია, მაგრამ არც საძრახისია. ვიცოდი, ეს რუსეთ-საქართველოს შენიღბული ომი იყო. ამ განცდით ვიყავი მაშინაც და ასე ვარ ახლაც. გაგრა რომ დაიკარგა, მაშინ დამთავრდა აფხაზეთის ამბავიც.

კონფლიქტი რომ დაიწყო, ჩემი 5 წლის დისშვილი გაგრაში ჩვენთან იყო. მისთვის რძის პროდუქტების მოსატანად ადლერში წავედი. უკან ავტობუსით ვბრუნდებოდი. გაგრის შემოსასვლელში, სადაც მხედრიონს საგუშაგო ჰქონდა, გაგვაჩერეს. პასპორტი მოგვთხოვეს. შენ შეფარული სომეხი ხარო, მითხრეს. რატომ-მეთქი. აბა, გურგენის ძე, რა სახელიაო. უხმო მეორეს და ეუბნება, შეხედე, ეს ვიღაც ჯინჭარაძეა, შეფარული სომეხიო. შეხედა მერე ჩემს ჩანთას და ჩვენ აქ სისხლს ვღვრით და ეს "სმეტანას" და რძეს მიირთმევსო, თქვა. ბავშვისთვის მიმაქვს-მეთქი. მოდი აქო და მივყავარ ზღვისკენ, უნდა რომ დამხვრიტოს. ავტობუსის მძღოლი ეცა: რას შვრები, ქართველია, ჩემი მეზობელიო.

მივედი სახლში და დედაჩემს ვუთხარი, აბა, ახლავე უნდა წავიდეთ აქედან-თქო. სასტიკი უარი მითხრა. დეიდაჩემს და ბიძაჩემს ვთხოვე დახმარება. მათ ძალით ჩასვეს მანქანაში და განთიადში თავისთან წაიყვანეს სახლში. ორი დღე არ იყო გასული, ბრძოლები გახშირდა და გადავწყვიტე, რომ იქიდან უნდა წავსულიყავი. ლესელიძეში ჩავედი, რათა დედაჩემი და ჩემი დისშვილი წამომეყვანა, მაგრამ დედა ისევ გაჯიუტდა და არ წამოვიდა.

მეგობრები დამეხმარნენ და სოჭიბათუმის კატარღაზე დამსვეს. 4-5 კილომეტრით რომ დავშორდით გაგრას, ჩანდა ნავთობბაზას ცეცხლი როგორ ეკიდა. მივხვდი, რომ გაგრა აღებული იყო. მივადექით ბიჭვინთას. გზა რუსულმა სადესანტო ხომალდმა გადაგვიღობა. პანიკაში ჩავარდი, ბავშვი მყავს თან. რუსები გვეუბნებიან, ნაპირზე შემოდით, უნდა შეგამოწმოთო. ცხადია, ქართველებს გემზე აღარ დაგვტოვებენ. კაპიტნის გვერდით ვდგავარ და ვუსმენ მოლაპარაკებას. მაშველ ჟილეტებს ვათვალიერებ, რომ ბავშვთან ერთად წყალში გადავხტე. ნაპირს რომ მივუახლოვდით, გადამცემით ჩეჩენი "ბოევიკი" ეკითხება კაპიტანს, ვინ იყვნენ მისი მგზავრები, ქართველები თუ

გყავსო. უთხრა, რომ 20-21 ადამიანი და უმეტესად ქალები და ბავშვები. პასუხი კარგა ხანს დააყოვნა იმ "ბოევიკმა." ბოლოს ნება დაგვრთო: გააგრძელეთ კურსით სვლა, ნაპირზე ვერ შემოხვალთ, მაღალი ტალღებიაო.

ჯერ სამტრედიაში ჩამოვედი, შემდეგ თბილისში.

1992 წლის 4 ოქტომბერია. ტელევიზიით აცხადებენ, რომ გაგრა დაეცა. დავბრუნდი უკან ჩემიანების გამოსაყვანად. ფსოუს ხიდზე დავდექი და ვეძებ ნაცნობს, მათთვის გადაეცათ, რომ ველოდებოდი. მესამე დღეს კიდევ ერთი ნაცნობი ვნახე და დედაჩემს მივწერე, თუ არ გამოხვალ, მე შემოვალ-მეთქი. მეოთხე დღეს, ვხედავ, მოდის დედა (ჩემი ნათესავები არ წამოვიდნენ). ჩამოვედით სოჭში, სადაც ბიძაჩემი ცხოვრობდა, იქიდან კი _ თბილისში. მაშინ იქ რა უნდა გეკეთებინა! მოვიარე ნაცნობები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ზოგმა გაუცხოება დამიწყო, ბევრმა თბილად მიმიღო. ნიჟნი-ნოვგოროდში ებრაელი მეგობარი მყავდა, ერთ-ერთ უდიდეს ქარხანაში განყოფილების გამგედ მუშაობდა, შემომთავაზა, მასთან დავრჩენილიყავი. ბოლოს 3 წელი ვიმუშავე როსტოვში.

იცით, რა ხიბლი ჰქონდა გაგრას? სადაც არ ახსენებდი, იქ შენთვის კარი ყოველთვის ღია იყო, განსაკუთრებით რუსეთში. გაგრისნაირი დასასვენებელი ადგილი არც შავი და არც ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში არაფერი იყო.

_ **წამოვლენ აფხაზები ჩვენთან მოლაპარაკებაზე და ამ ყველაფრის საქართველოსთვის დაბრუნებას დათანხმდებოდი? აფხაზი ოპოზიციონერის სიტყვებს გავიმეორებ: "იმის იმედი არ უნდა იყოს, თუკი საქართველო მიმზიდველი გახდება, ჩვენ უკან გამოვქანდებით." თუ არ ვცდები, საქართველოში ვიზიტისას კონდოლიზა რაისმა გააჟღერა პირველად საქართველოს აფხაზებისთვის მიმზიდველობის აუცილებლობა.**

_ პირველი თქვა არძინბამ. როცა უთხრეს: რას შვრები, რუსეთი ოკეანეა, ჩაიხრჩვებიო უპასუხა, მე ოკეანეში მირჩევნია, ჭაობში ჩახრჩობასო. ჯერ ერთი, საქართველო ვერასდროს მიაღწევს, აფხაზებისთვის გახდეს მომხიბვლელი. მერე მეორე _ აფხაზები რომ მომხიბვლელობას და კარგ ცხოვრებას ეძებდნენ, რაღა რუსეთთან მივიდოდნენ, შვეიცარია ეგერ არ არის?! ჩვენ რუსეთმა დაგვაცილა ერთმანეთს. ახლა რომ აღფრთოვანებით ვლაპარაკობთ, შარშან 6 მილიონი ტურისტი გვყავდა საქართველოშიო, 6 მილიონი მარტო გაგრაში დადიოდა წლის განმავლობაში.

_ **თქვენ რამდენიმე კომპეტენტურ ადამიანთან ერთად დაწერეთ პროექტი, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების პირობად მიგაჩნიათ. როდის დაიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა და რაში მდგომარეობს მისი არსი?**

_ ეს ისეთი საკითხია, რომელზეც მე და თამაზი ყოველთვის ვბჭობდით. იდეების დონეზე უკვე 1992 წლიდან არსებობდა, პროექტის სახე 2003 წელს მიიღო. მასზე 5 კაციანმა ჯგუფმა იმუშავა: გოგი გაჩეჩილაძემ, რომელიც ორი პრეზიდენტის მრჩეველი იყო, ლევან ჯინჭარაძემ, თამაზ ნიკურაძემ, როსტომ ცხვედიანმა და დათო ჯახაშვილმა.

2003 წელს იმიტომ, რომ გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილი რომ ხელისუფლებაში მოვიდა, ხალხს მიმართა, თუ ვინმეს რამე იდეები გაგაჩნიათ ოკუპირებული ტერიტორიებთან დაკავშირებით, მოგვაწოდეთო.

_ **და დარჩა მიმართვის დონეზე.**

_ ასეც მოხდა.

_ **თქვენ თუ იცნობთ მსგავს პროექტებს?**

_ არა, არავის აქვს. შეიძლება, ჩვენი პროექტი რომანტიკული, იდეალისტურია, მაგრამ გარდატეხას ქმნიან იდეალისტები, ყველაფერი დანარჩენი სტალინის, ჰიტლერის და ჩინგიზ-ხანის საქმეა.

აფხაზი გეუბნება, დამელაპარაკე როგორც თანატოლს, მე არა ვარ შენზე დაბალი.

როგორც კი გავიგე, ქართული ენის ამოღება უნდოდათ სკოლებში, გოგის დავურეკე და ვუთხარი, აფხაზეთში აგვისტოში პარლამენტის სხდომა რომ გაიხსნება, პირველ საკითხად ამას გაიტანენ-მეთქი. ასეც მოხდა. ეს არის რუსული გეგმა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩატეხონ ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის. 31 სომხური სკოლაა აფხაზეთის ტერიტორიაზე და არც ერთი ქართული. მართლაც, აგვისტოში გაიტანეს პარლამენტში ეს საკითხი. აფხაზები არ იღებდნენ ამ კანონს, ჩამოვიდა სურკოვი _ პუტინის მრჩეველი, ამოუგრიხა ხელი აფხაზ პარლამენტარებს და მიაღებინა იგი.

გოგის შევთავაზე, ვიდრე ეს მოხდებოდა, სასწრაფოდ მიგვეწოდებინა პრეზიდენტისთვის ჩვენი პროექტი. წარმოიდგინეთ, იმ ვითარებაში, როცა ამზადებენ პროექტს ქართული ენის საწინააღმდეგოდ, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს კანონს აფხაზური ენის ფაკულტატური სწავლების შესახებ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ხოლო, სურვილისამებრ, თბილისის 3 სკოლაში ვიწვევთ სამუშაოდ აფხაზ პედაგოგებს. ეს რომ დაიწერებოდა, ვერანაირი სურკოვი და პუტინი ველარ მოახდენდა გავლენას, რადგან აფხაზებს ჩვენზე მეტად აქვთ სიამაყის განცდა გამძაფრებული.

_ **პოლიტიკური მანევრის უქონლობა, არმიის არ არსებობა, ლიდერებს შორის შეუთანხმებლობა, ბანდ-ფორმირებების თარეში და სხვა, გახდა თუ არა ამ კონფლიქტში ჩვენი დამარცხების მიზეზი?**

_ ჩვენი დამარცხების მიზეზი იყო რუსეთი. ასევე, ჩვენ არ გვყავდა ჯარი, გამონაკლისების გარდა, ბანდიტები იყვნენ.

_ **როგორც აღნიშნეთ, თქვენს პროექტში ძირითადი აქცენტი აფხაზებთან და არა რუსებთან ჩვენს დიპლომატიურ ურთიერთობაზე კეთდება. ამ პროექტზე მუშაობისას რითი ხელმძღვანელობდით?**

_ ბიბლია, რუსთაველი და ადამიანი. ბიბლია _ არ უნდა შესთავაზო კაცს ისეთი რამ, რაც შენთვის არის მიუღებელი; რუსთაველი _ "ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია" და ადამიანი _ როცა ეუბნები ვინმეს, მოდი, ვიმეგობროთო და უცხადებ, მე დირექტორობა მინდა და შენ დამლაგებელი იქნებიო, კომპრომისს ვერ მოძებნი. ისინი გვეუბნებიან, ასეთ რაღაცას: აფხაზმა უნდა მართოს აფხაზეთი. კი, ბატონო, 25 წლის განმავლობაში ყველა თანამდებობა ექნება აფხაზს. გავა ეს 25 წელი, ვერ მოვილაპარაკეთ? ჩვენ ვაძლევთ უფლებას, მოიწვიონ ეთნიკური რეფერენდუმი დევნილების დაბრუნების შემდეგ, საერთაშორისო სამართალში ასეთ რამეს ვერ ნახავთ. ეს გახლავთ ქართველი ხალხის კეთილი ნება. მიზანი კი არა, მისასვლელი გზები უნდა შეცვალო. მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს მხოლოდ ჩეხეთი და სლოვაკეთი. სხვა არ არსებობს დედამიწის ზურგზე ასეთი პრეცენდენტი.

ჩვენ ვეუბნებით აფხაზებს, გინდათ დამოუკიდებლობა? შეგიქმნით ყველა პირობას, მიხვიდეთ ურნასთან და რასაც გინდათ, მიეცით ხმა. საქართველოს მხარე კი დაიცავს იმას, რაც თქვენ გინდათ. მაგრამ უმრავლესობა 50+1 კი არ იქნება, არამედ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ აფხაზ ხალხს არ უნდა საქართველო და საქართველოსთან ასოცირება. სხვა შემთხვევაში 50+1 იქნება 12 ათასი აფხაზი. ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ აფხაზები, მათ შორის აგერ ვინც ცხოვრობს სამტრედიაში, აჭარაში, თბილისში, 7 ათასი აფხაზური ოჯახია აქეთ მხარეს, და მე რომ დავდგები არჩევანის წინაშე, ხაჯინბას არ ავირჩევ. მე ვეუბნები, პოლიტიკური თანამდებობა თქვენი იქნება-თქო, მაგრამ ეს ღმერთის ბოძებული ხომ არ არის, საიმპერატორო თანამდებობა კი არ არის, არამედ არჩევითი თანამდებობაა. ქართველი არ წამოაყენებს კანდიდატურას, იქნებიან მხოლოდ აფხაზები. მე მივცემ აქაურ აფხაზებს ხმას და იმათ, 25 წელი აქ რომ იქნებიან მასწავლებლებად და ქართული ოჯახებს რომ შექმნიან და ქართულ სულისკვეთებას გამოხატავენ, იმათ მივცემ ხმას.

_ **თქვენი ვარაუდით, რა დრო დასჭირდება აფხაზეთის დაბრუნებას. და თუ მაინც ეს ვერ შევძელით...**

_ ერთი 20 წელი კიდევ დასჭირდება. თუ ვერ დავიბრუნეთ, საქართველო დარჩება იმ დონეზე, როგორც დღეს ვართ განვითარების თვალსაზრისით, ხალხის შემოსავლებით და ა. შ. ქართული პარტიები მეზღაპრეებად არიან გადაქცეულნი, კეთილდღეობას ჰპირდებიან საქართველოს. თუ მუდამ ასე იქნება, სიკეთე არ გველოდება.

_ **თქვენს პროექტს ბევრი კომპეტენტური პირი გაეცნო. სათანადო შეფასებებიც დაიმსახურა, თუმცა, ჯერ ისევ მოწონების დონეზე რჩება. რით ახსნით ამას?**

_ ყველა პარტიაში მაქვს მიტანილი. არც განხილვაში, არც პაექრობაში შემოსულა ვინმე. ერთადერთი არის ირაკლი ქადაგიშვილი, რომელმაც წაიკითხა და მეორედ დაგვიბარა. თქვა, რომ, როცა წავიკითხე, კითხვა დავსვი, რუსეთს და აფხაზეთს ყოველთვის აქვთ არგუმენტები, ამ პროექტის მიხედვით რა არგუმენტი უნდა მოიტანონ, უარი რომ მითხრან-თქო. ასეთი არგუმენტი აქ ვერ ვნახე და ამიტომ მომწონსო.

ათჯერ ვარ ირაკლი მენაღარიშვილს შეხვედრილი. გიორგი ვაშაძეს, მიშას საგარეო საქმეთა მინისტრს, სამჯერ რეინტეგრაციის მინისტრს თემურ იაკობაშვილს, მაია ფანჯიკიძეს, ალექსი პეტრიაშვილს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ იცის ამ პროექტის შესახებ. ჩვენი ჯგუფის წევრმა როსტომ ცხვედიანმა ხათუნა ლაგაზიძეს წააკითხა იგი და უთქვამს, აღფრთოვანებული ვარო. ლევან ალექსიძეს შევხვდი, მეტი ავტორიტეტი საერთაშორისო სამართალში, საქართველოს პოლიტოლოგიაში არ არსებობს. 15 წელი გაეროში დამოუკიდებელი ექსპერტი იყო. ტიტანური შრომაა ჩადებული, მითხრა, მაგრამ მიშა (სააკაშვილზეა ლაპარაკი) ამას არ მიიღებსო.

სხვათა შორის, ანალოგიური იდეით ახლა სასომხეთში რამდენიმე პარტია გამოდის _ ვერც ჩვენ წავალთ ყარაბახიდან და ვერც აზერბაიჯანელებს გავასახლებთ აქედან. უნდა დადგეს მომენტი ჩვენი საერთო დიალოგის, კომპრომისისო.

_ **როცა პროექტის ოფიციალურ დონეზე წინსვლა არ ხდება, ეჭვი არ გაგჩენიათ, იქნებ, არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს?**

_ იყო ასეთიც. ტრანსფორმირება გავუკეთეთ მერე და სამ რესპუბლიკაზე გავთვალეთ, მეტი ინტერესი რომ აღვძრათ მსოფლიოში, თორემ აქ ორი სოფელი ეკინკლავება ერთმანეთს. სასომხეთი და აზებაიჯანი რომ მივუერთე, უფრო მომხიბვლელი გახადა.

_ **გჯერათ, რომ თქვენი პროექტი დღის სინათლეს ნახავს?**

_ მე მგონი, ნახავს და რა მაძლევს ამის საფუძველს, ვერ გეტყვით, მაგრამ ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ვარ, ვიცი, რომ სხვაგან, არც ერთ უჯრაში არ დევს ამ კონფლიქტის გადაწყვეტის გზა.

_ **არ გიცდიათ, საერთაშორისო დონეზე გაგეტანათ იგი?**

_ ჩემი ამოცანა არ არის ვითამაშო ღმერთის და თოვლის ბაბუის როლი, ჩემი საჩუქარი არაა. მინდა ჩემზე ჭკვიანმა, პოპულარულმა ხალხმა ან ჯგუფმა, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ უნდა განავრცოს იგი.

_ **თქვენ იმუშავეთ არა მარტო საქართველოზე, არამედ უკრაინაზე, ყარაბახსა და ცხინვალზე...**

_ ცხინვალთან დაკავშირებით მივდივარ უკიდურესად მკვეთრი ნაბიჯებით და რატომ. მენაღარიშვილს დავუსვი კითხვა: რას წარმოადგენდა ეკონომიკურად საქართველოს წიაღში ოსეთი, 2-დან 3 პროცენტსო, მითხრა. შეიძლება ეს არაფერია, მაგრამ ასეთ რაღაცას რომ მასობრივად თმობ, ეს პოლიტიკური ნაბიჯია. მე, მაგალითად, შევთავაზებ რუსეთს, რომ რამდენი ხნითაც უნდა, მართოს ეს ტერიტორიები საერთაშორისო მმართველობის მეშვეობით, ოღონდ, ქართველები უნდა დააბრუნოს იქ, ვინც გინდათ ჩამოიყვანეთ, მაგრამ მართოს ნეიტრალურმა მხარემ და არა რუსეთმა.

აფხაზებს ვაძლევთ თვითმმართველობას. ამით ვშლი ამ ორ ერთობას, მათ უჩენ სხვადასხვა ინტერესს. როცა აძლევ უფლებას, იქონიოს თავისი ფული, მზად ხარ ქართული მხარე, 120 მილიონი დოლარი ჩადო მათთვის სახელმწიფო ბანკში, როგორც გარანტია, როგორც ჩვენ ჩაგვიდო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ეს ნიშნავს, შენ გსურს დააცილო მას რუსეთი, არაფერი ქმნის ორი სახელმწიფოს ერთობას ისე, როგორც ერთიანი ფულის ვალუტა.

_ **მაგრამ ეს მეორე მხარეს დამოუკიდებლობის განცდას უქმნის.**

_ გაუჩინოს. მე დამოუკიდებელი აფხაზეთი მირჩევნია და ქართველები დააბრუნოს იქ, ვიდრე ენგურზე რუსის ჯარი იდგეს. ეს პროექტი წავაკითხე საქართველოს ყოფილ ელჩს თურქეთში ტარიელ ლებანიძეს. მან თქვა, ყველაზე "ცუდი", რაც ამ პროექტმა შეიძლება მოიტანოს, არის ორი საქართველო, აფხაზეთის საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ეს საქართველოა. თუ გახსოვთ, ბერძნული ენა ბიჭვინთის ტაძრიდან ვინ განდევნა? აფხაზებმა და ქართულად შემოიღეს წირვა-ლოცვა.

რუსეთი აფხაზეთს არ დაგითმობს. ალიასკის გაყიდვა ვერ მოუნელებიათ და ცდილობენ დაიბრუნონ. ასეთ დროს ეუბნები ქართველი, რომ დამოუკიდებლობა გინდა და აფხაზეთი მომეციო. ამ შეცდომას იგი აღარასდროს დაუშვებს, იმიტომ, რომ მას ყოველთვის ეცოდინება, რომ საქართველოს წიაღში წინააღმდეგობა ყოველთვის იქნება და ოცნება დამოუკიდებლობაზე არასდროს ჩაიხშობა.

ყველა ომი და უბედურება დედამიწაზე ჩრდილოელი მეზობლიდან არის ორკესტრირებული. ავტომატი ისე არ გაისვრის, იმ ცუდ ბიჭებს "კალაშნიკოვი" არ ეჭიროთ ხელში.

მე და თამაზი შევეცადეთ გაგვერკვია, სანამდე შეიძლებოდა აფხაზებთან კომპრომისზე წასვლა. აღმოჩნდა, რომ როგორ კომპრომისზეც არ უნდა წავიდეთ, ჩვენ ყოველთვის დავრჩებით მოგებული. ჩვენ რიცხობრივად ვიგებთ. კი, ბატონო, იყვნენ გენერლები ხოლო მე იძულებით თოხი ამკიდონ და სამუშაოდ გამგზავნონ, ამას ვერავინ მაიძულებს. კოლექტივიზაციის ეპოქა ხომ არ არის?! მე მოვუვლი ჩემს ვენახს, საკარმიდამოს, სხვა არაფერი მინდა. აფხაზები კი ჩვენს გარეშე ვერ იარსებებენ.

რუსეთი აფხაზეთს არ დაგითმობს. ალიასკის გაყიდვა ვერ მოუნელებიათ და ცდილობენ დაიბრუნონ. ასეთ დროს ეუბნები ქართველი, რომ დამოუკიდებლობა გინდა და აფხაზეთი მომეციო. ამ შეცდომას იგი აღარასდროს დაუშვებს, იმიტომ, რომ მას ყოველთვის ეცოდინება, რომ საქართველოს წიაღში წინააღმდეგობა ყოველთვის იქნება და ოცნება დამოუკიდებლობაზე არასდროს ჩაიხშობა.

ჩვენ ვაძლევთ უფლებას, მოიწვიონ ეთნიკური რეფერენდუმი დევნილების დაბრუნების შემდეგ, საერთაშორისო სამართალში ასეთ რამეს ვერ ნახავთ. ეს გახლავთ ქართველი ხალხის კეთილი ნება.

ერთი გამოფენის გამო



ქეთევან ჭელიძე

მცირე საგამოფენო სივრცედ იქცა, რამდენიმე დღის წინ, რაიონული პროკურატურა. მე-15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი ნამუშევრები წარუდგინეს დამთვალიერებელს. მრავალფეროვნება გტაცებდა თვალს, თავიანთი სურვილები და ფანტაზიები, შეძლეს, სხვადასხვა მხატვრული ხერხით გაეცოცხლებინათ აქაურ მოსწავლეებს.

რაიონული პროკურატურისა და მე-15 საჯარო სკოლის მეგობრობა წლებს ითვლის. ეს გამოფენაც "საზოგადოებრივი პროკურატურის" პროექტის ფარგლებში მოეწყო.

"როდესაც ბავშვი ასეთ ნამუშევრებს ქმნის, ეს ნიშნავს, რომ მას სწორი მიმართულება უნდა მისცე, რათა ხვალ საზოგადოებას სრულუფლებიან წევრად დაუბრუნდეს. სკოლის დირექტორს, ბატონ გია მეიშვილს მინდა, მადლობა გადავუხადო, რომ ამას კარგად ართმევს თავს. მე-15 საჯარო სკოლა ერთადერთი სპეციალური სკოლაა საქართველოს მასშტაბით, ჩვენ ვმეგობრობთ მასთან და ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს. ეს ბავშვები ძალიან ბევრ კარგ რამეს აკეთებენ, ბევრი ნამუშევარი აქვთ, მაგრამ, ჩვენი ფართიდან გამომდინარე, ყველას გამოფენა ვერ მოვახერხეთ. ნიჭიერები და ძალიან კარგები არიან. მინდა, რომ მათმა თანატოლებმა ნახონ, თუ რას აკეთებენ ისინი. მომავალში ბატონ გიასთან ერთად ვგეგმავთ, დავდგათ სპექტაკლიც და სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებს ვაჩვენოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი გამოვა." _ ამბობს რაიონული პროკურორი მალხაზ გეწაძე.

ამჟამად მე-15 საჯარო სკოლაში 5 მოსწავლე ჰყავთ: გიორგი აბრამიშვილი, რატი ლაღაძე, ბაგრატ კოსტავა, ნიკა მელქონიანი და გელა ვაშალომიძე. ისინი 13-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდები არიან. იმ დღეს სკოლის ყოფილი მოსწავლეების ნამუშევრებთან ერთად მათაც გამოფინეს საკუთარი ხელით შექმნილი ნახატები, აპლიკაციები, ნაქსოვი ხალიჩები თუ სხვა. არც დამთავლიერებელი აკლდათ.

თავი მოიწონა რატი ლაღაძემ, პროკურორის სავარძელშიც მოიკალათა და ენაწყლიანმა ბიჭმა წინა დღეს ნანახი ფილმის "ექვთიმე ღვთისკაცი" შესახებ თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა. აღფრთოვანებული გვესაუბრებოდა ერისკაცის ღვაწლზე და მისთვის განსაკუთრებულ მომენტებს დაწვრილებით გადმოგვცემდა.

5 წელია, რაც ამ სკოლაში ხათუნა სანადირაძე უფროს აღმზრდელად მუშაობს. სწორედ მისი დახმარებით ქმნიან ეს ბავშვები იმ ნამუშევრებს, გამოფენაზე რომ იქნა წარმოდგენილი.

"ყველა ვერ ხატავს, მაგრამ ვცდილობთ, ხელსაქმეში ჩავრთოთ". _ გვიხსნის ქალბატონი ხათუნა. _ "ამისთვის ვიყენებთ სხვადასხვა ტექნიკას. ვინც ვერ ხატავს, ვასწავლით და აკეთებს პაპიემაშეს, რომელიც წებოთი და ქაღალდით მზადდება. გვაქვს თიხა, პასტელი, ბევრი რამეა, რაც ხელსაქმისთვის შეიძლება გამოიყენო. ვქსოვთ ხალიჩებს, ვძერწავთ, რასაც ვაკეთებთ, ჩვენი სკოლის ტერიტორიაზე გვაქვს გაბნეული და ვიყენებთ. ოთახიც გავარემონტეთ, ბავშვი რასაც აკეთებს, მერე მას არ აზიანებს. მათ ნიჭს მაქსიმალურად ვიყენებთ. გვინდა, მათი ემოცია, ხასიათი ჩანდეს მათ ნამუშევრებში არ შეიძლება, ბატონ გიას დამსახურებაზე არ ვთქვა. სამუშაოსთვის რა რესურსიც არ უნდა მოვითხოვოთ, მისი მეშვეობით ყველაფერი გვაქვს. ჩვენ გამოფენა ქუთაისშიც გვქონდა, "თიბისი ბანკმა" დაგვითმო შენობა.

"ჩვენს სკოლაში რთული ქცევის ბავშვები არიან. აქ ყველაფერი კეთდება, მათი ფსიქოემოციური მდგომარეობა რომ გაუმჯობესდეს. დიდ საქმეს გვიკეთებს ხათუნა მასწავლებელი, რომელიც ბავშვებთან ერთად ხელთნაკეთობებზე მუშაობს. ხატავენ, ქსოვენ, ქმნიან თოჯინებს, საკუთარი ოთახიც კი გაარემონტეს. ეს მათზე

დადებითად აღიქმება. ყველაზე მშვიდად ხათუნასთან არიან. სკოლაში ბევრი სხვა აქტივობაც გაქვს, სპორტული თუ მხატვრული. ძალიან უყვართ სპექტაკლში მონაწილეობის მიღება. მათი თვითშეგნების ამაღლებისათვის, რესოციალიზაციისათვის ეს გამოფენები დიდად სასარგებლოა. სტიგმა, რაც ჩვენ სკოლას ჰქონდა, სრულიად მოხსნილია." _ გვიხსნის სააღმზრდელო პროგრამების კოორდინატორი ლალი დოლიძე.

თავისი სკოლის წარმატებებზე საჯაროდ საუბარი ეძნელება სკოლის დირექტორს, თუმცა ეამაყება, რომ იმ დღეს მისმა მოსწავლეებმა თანატოლებს საკუთარი ნამუშევრები ანახეს. მან მადლობა გადაუხადა ბატონ მალხაზ გეწაძეს და დასძინა: "საქართველოს მასშტაბით პროკურატურა მნიშვნელოვან ღონისძიებებს მართავს საჯარო სკოლებში. ეს კარგია, რადგან ბავშვებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა დამსჯელი ორგანო არ არის. ეცნობიან, რას აკეთებენ, რას ემსახურებიან. ამასთანავე, მათთვის საინტერესო იურიდიულ კითხვებზე იღებენ პასუხებს".

მე-15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მადლიერების ნიშნად რაიონულ პროკურორს მათთვის სასურველი ნახატიც უსახსოვრეს.

გამოფენის პირველი დღე სიურპრიზებით სავსე აღმოჩნდა. "ექვთიმე ღვთისკაცის" გადამღები ჯგუფი მოულოდნელად ეწვია მე-15 საჯარო სკოლას. ისე ვერ წავიდოდით, ეს ბავშვები ახლოს არ გაგვეცნო, ფილმის ჩვენების დროს ისეთი ემოციები გამოხატესო. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად კალათბურთიც ითამაშეს და სურათებიც გადაიღეს. რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ პირობაც მისცა მათ, თუ ისინი საზოგადოებისათვის მისაღებ ცხოვრებას დაუბრუნდებოდნენ, მომავალში ფილმში მოახვედრებდნენ.

"არა ძალადობას"

ამ თემას მიეძღვნა ვიდეორგოლების კონკურსი, რომელიც "საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში გასულ წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. სამტრედიის, ვანისა და ხონის 32 საჯარო სკოლას შორის გამარჯვებული სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლა გახდა. მეორე ადგილზეც სამტრედიის მე-6 საჯარო სკოლა გავიდა, ხოლო მე-3 ადგილი ხონის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლას ხვდა წილად. გამარჯვებული ვიდეორგოლები საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარადგინეს, სადაც გამარჯვება რუსთავის საჯარო სკოლას მიეკუთვნა.

რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ მე-3 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს: დემეტრე ჯინჭარაძეს, თიკა ცაგურიას, ქეთი ჯინჭველაიშვილს, ლუკა ლორიას, საბა ჩაჩუას და ყველაზე პატარა მონაწილეს ანასტასია თოდუას გულთბილი შეხვედრა მოუწყო, სიგელები გადასცა და საჩუქრებით დააჯილდოვა.

"ესენი არიან ბავშვები, რომლებმაც ძალიან კრეატიული ვიდეორგოლით სამ მუნიციპალიტეტს შორის გაიმარჯვეს და ძალადობას უთხრეს არა. შემდეგ გაემგზავრნენ საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სადაც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან გამარჯვებული ვიდეორგოლები იქნა წარდგენილი. დღეს მათ სიგელები და მცირე საჩუქრები გადავეცით. მადლობა მინდა ვუთხრა მე-3 საჯარო სკოლას ასეთი კარგი, ნიჭიერი ბავშვებისათვის". _ გვითხრა მალხაზ გეწაძემ.

ეს დღე მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის, როგორც აღნიშნეს, მოტივაცია გახდა, მსგავს პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

ქეთევან ჭელიძე

ჩვენ ვირჩევთ ექვთიმეს გზას!

ქეთევან ჭელიძე

საშობლოს სიყვარული ეკრანიდან დარბაზს მოეფინა, კარი გახსნა და იმ ემოციური დღის ამბავს მერე მთელი სამტრედია ჰყვებოდა. პატრიოტიზმმა რწმენა დაიბრუნა, ქართველურად აგვანთო და ისევ გაგვაერთიანა. ეს იმ ფილმით, რომლის ჩვენებაც ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში შედგა.

ექვთიმე თაყაიშვილი, წმინდანად შერაცხული ექვთიმე ღვთისკაცი კინორეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ მხატვრულ სახედ აქცია. პირველი კადრებიდანვე მაყურებელი გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თანაზიარი გახადა, ლიხაურიდან საფრანგეთამდე წინააღმდეგობებით სავსე გზაზე ატარა, ექვთიმესა და ნინო პოლტოროცკაიას სიყვარულზე მოუთხრო, წარმატებებიც ახარა და თავის ქვეყანაზე მტლად დადებული მაშულიშვილის ტკივილითაც გათანგა.

9 წლის იყო, რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" რომ ნახა. პირველად მაშინ გაიგო ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. ის განცდა დღემდე მოჰყვება, ეცადა, სხვებისთვისაც გაეზიარებინა და გადაწყვიტა, დიდ ეროსცაზე ფილმი გადაეღო.

სხვა რომ არაფერი ეკეთებინა ექვთიმე თაყაიშვილს, თავისი გამორჩეული სიტყვა არ ეთქვა ისტორიაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ნუმიზმატიკაში, ფილოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ხელოვნებაში, პოლიტიკასა თუ სხვაგან, მონაწილეობა არ მიეღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში და ა. შ. ქართველი ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად ეროვნული საგანძურის გადარჩენაც საკმარისი იქნებოდა. ორ ათეულ წელზე მეტხანს უსაზღვრო ერთგულებით, რწმენით, თავდადებით იცავდა ბოლშევიკურ მთავრობას გარიდებულ უნიკალურ ეროვნულ საგანძურს უცხო ქვეყანაში. იმ მძიმე წუთებშიც კი, როცა უბედური შემთხვევის გამო, მისი მეუღლე და თანამოაზრე, ნინო პოლტოროცკაია ლოგინს მიეჯაჭვა, პირადი სარგებლისათვის საგანძურიდან არაფერი აუღია, არც მაშინ, საშობლოში დაბრუნების წინ ლუვრში რომ გამოჰფინეს ქართული განძი და თავისი გაცვეთილი ტანსაცმლის გამო ექვთიმე იქ არ მიიდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა საშობლოში დაბრუნებაც დაირცხვინა, უარი თქვა: ჩემი მისია შეასრულე, საქართველოს განძი დაგუბრუნე და ცხოვრებას სად დავასრულებ, რა მნიშვნელობა აქვსო.

"ქართველი ხალხი წარმოგიდგენთ" _ ასე იწყება ფილმი, რომელზეც ნიკოლოზ ხომასურიძემ გადაღებ ჯგუფთან ერთად 3 წელი იმუშავა. რადგან ფილმი სახელმწიფოს ინტერესში არ აღმოჩნდა, საჭირო თანხის შესაგროვებლად ქართველმა ხალხმა გამოიჩინა კეთილი ნება. 7 ათასი კაცი გააერთიანა "ექვთიმეს ლაშქარმა". ექვთიმეს დროშა კი, რომელიც ფილმის გადაღების დასაწყისში მყინვარწვერზე აფრიალდა, როგორც სიმბოლო სირთულეების დაძლევის და მწვერვალების დაპყრობის, ამჯერად სამტრედიაშიც გაშალეს. ფილმი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობს და საცნაურს ხდის თანამემამულეებისთვის დიდი ეროვნული მოღვაწის საქმეს. სამტრედიელებსაც მიეცათ საშუალება, ენახათ "ექვთიმე ღვთისკაცი" და შეხვედროდნენ მის გადამღებ ჯგუფს.

ფილმის ჩვენებამდე სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ანსამბლ "ფანტაზიის" პატარა მოცეკვავეებმა დაიკავეს სცენა ანთებული სანთლებით, "იმერული მგზავრული" იმღერა ფოლკლორულმა ანსამბლმა "ალილომ" მადონა კოხრეიძის ხელმძღვანელობით, ეროვნულ სამოსში მორთული გოგონები კი ყვავილებს ურიგებდნენ მაყურებლებს. "გვინდოდა, ის ეპოქა გაგვეცოცხლებინა, რომელშიც ექვთიმე თაყაიშვილი ცხოვრობდა". _ გვეუბნება ქრისტინე ზაქრაძე, იმ დღის ორგანიზატორი, და საერთოდ, თუკი სამტრედიელებმა ფილმის გადაღებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს, პირველ რიგში, ეს მისი დამსახურებაა.

"ლაშა კანკავა ფეისბუქის გვერდზე წერდა წერილს, რომელშიც თავის წყრომასაც გამოხატავდა და მადლიერებასაც მათდამი, ვინც გვერდით ედგათ ფილმის გადასაღებად და ვინც ნაკლებად იჩენდა ამ საქმის მიმართ ყურადღებას. გამიჩნდა სურვილი, წლის ბოლოს ჩემი მოცეკვავეთა ანსამბლის, "ფანტაზიის" შემაჯამებელი ღონისძიება საქველმოქმედო გამეხადა და შემოსული თანხა ფილმის ფონდში გადმერიცხა. დავუკავშირდი ამ ადამიანებს და ისინიც სიამოვნებით დამთანხმდნენ, სამტრედიაში ჩამოსულიყვნენ. ექვთიმეს პიროვნებასთან ახლოს რომ ყოფილიყო, ღონისძებისთვის ნიო ნიკოლაძის ულამაზესი ეზო შევარჩიე. გავაცოცხლეთ რომანტიკოსები ქორეოგრაფიაში. შთამბეჭდავი გამოვიდა...

ამ ფილმის პირველი ჩვენება ჰქონდათ ლიხაურში, ექვთიმეს სოფელში. პრეზენტაციაზე, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა, მეც მომიწვიეს. განსაკუთრებული იყო პირველი ემოცია, ძალიან იმოქმედა. გამიჩნდა სურვილი, ფილმი მალე მეჩვენებინა სამტრედიელებისთვის. მუნიციპალიტეტის

მერიაში დადებითად შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას და უკვე ფილმი ჩვენთანაა. მადლობა მინდა გადავუხადო მხარდაჭერისთვის სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს და მის დირექტორს ტატა გოგუაძეს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, კულტურის სამსახურის უფროს ნატალია მანჯგალაძეს და ქალბატონ ეკა კიკაჩეიშვილს, ჩემს დედას, რომელიც გვერდით მედგა და მამხნევებდა, ყველაფერი კარგად რომ დამთავრებულიყო. შემოსული თანხა ფილმის ხმოვანი მონტაჟისთვის გადაირიცხება. სურვილი აქვთ, იგი კანის ფესტივალზე წარადგინონ". _ გვეუბნება ქრისტინე ზაქრაძე.

"ექვთიმე ღვთისკაცი" სამტრედიაში ორ სეანსად აჩვენეს. ხალხით სავსე დარბაზში ემოციები სჭარბობდა. აცრემლებული თვალები ერის მეჭურჭლეთუხუცესისადმი, როგორც მას კონსტანტინე გამსახურდიამ უწოდა, თანაგრძნობასთან ერთად მადლიერებას გამოხატავდა.

"პირველ სეანსზე აქ ისხდნენ ერთი ასაკობრივი ზღვარის მოზარდები. ყველაზე გენიალური იყო ის, რომ ტექნიკური ხარვეზების გამო, როცა შუა ნაწილში ფილმის ჩვენება შეწყდა, არც ერთი ბავშვი არ წამომდგარა და გარეთ არ გასულა. იმდენად ქართულია ეს ფილმი, რომ მათი დაინტერესება გამოიწვია". _ ემოციებს უზიარებს "სამტრედიის მაცნეს" მსახიობი გიორგი აზნაური. _ "ჩვენზე ძალიან ბევრ რეცენზიას წერენ, ბევრი გამოხმაურება გვაქვს, მადლობასაც ვღებულობთ, მაგრამ განსაკუთრებით ერთ-ერთი ქალბატონის ჩანაწერი დამამახსოვრდა, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა მას მადლობა ვუთხრა. "თუ დაგავიწყდა, გაგახსენებს, თუ არ გიყვარდა, შეგაყვარებს, თუ არ გეამაყებოდა, იამაყებ, რომ ქართველი ერის შვილი ხარ" _ ჩემი ყოველი გამოსვლაც ამ სიტყვებით მთავრდება. აი, ეს არის არსი ამ ფილმის, რის შედეგადაც ხალხი სულ სხვა აღმფრენით გადის დარბაზიდან. ჩვენ ვგეგმავთ, რომ მომავალი პროექტები იყოს ამ ფილმის მსგავსი".

ოვაციები არ დაიშურა მაყურებელმა, როცა ღონისძიების წამყვანმა ქრისტინე ზაქრაძემ სცენაზე ფილმის რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე მოიწვია, ტაშით შეეგებნენ აგრეთვე გადამღები ჯგუფის წევრებს: სცენარისტ ლაშა კანკავას და გალატიონის როლის შემსრულებელს, გიორგი

აზნაურს, რომელმაც პიერ ჟოდონის განსაკუთრებული სახე შექმნა, გიორგი მეგრელიშვილს, რომელმაც ჟან პიერის როლი განასახიერა და თანაპროდიუსერს ხათუნა ვაშაძეს.

"ჩვენთვის დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა, სამტრედიაში ჩამოვედით და გვინდა გიჩვენოთ ის, რაშიც თქვენ წვლილი შეიტანეთ. ასეთი სავსე დარბაზი ნიშნავს, რომ ჩვენს ხალხს აინტერესებს ჩვენი ეროვნული გმირების ისტორია. ჩემთვის ექვთიმე არის ყველაზე საუკეთესო მაგალითი, თუ როგორი შეიძლება იყოს ადამიანი, ისწრაფოდეს ისეთი ფასეულობებისაკენ, როგორიც ექვთიმეს ჰქონდა ცხოვრებაში.

განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია. ამ ფილმით გაჩვენეთ, ვინ ვართ, საიდან ვართ, რომ თავისუფალი ადამიანები ვართ და ვირჩევთ ან ექვთიმეს გზას, ან არ ვირჩევთ, ჩვენ ექვთიმეს გზას ვირჩევთ! უკეთესები გავხდით, ვიდრე 3 წლის წინ ვიყავით. ეს ფილმიც უკეთეს ღირებულებას წამოსწევს მაყურებელში, დაგვანახებს, რა უფრო პრიორიტეტულია ჩვენს ცხოვრებაში". _ მიმართა ბატონმა ნიკოლოზმა დარბაზში შეკრებილთ. სამტრედიელები გულთბილად მიესალმნენ სცენარისტ ლაშა კანკავასა და მსახიობ გიორგი აზნაურს.

მაყურებელმა განსაკუთრებული სიყვარული გამოხატა და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა მთავარი როლის შემსრულებელი რეზო ჩხეკვიშვილი, რომელსაც პარტნიორობას ნინო პოლტოროცკაიას როლის შემსრულებელი ანა წერეთელი უწევდა.

ნიკოლოზ ხომასურიძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქრისტინე ზაქრაძეს, სამტრედიის მერიას, კულტურის სამსახურს თანადგომისთვის და სცენაზე მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია მიიწვია. "ვფიქრობდი, საქართველოში კარგი ფილმების გადაღება დაავიწყდათ-მეთქი და თურმე ვცდებოდი. ასეთი ფილმი დიდი ხანია, არ მინახავს. მადლობა შემოქმედებით ჯგუფს. ჩვენ მართლა დაგვაბრუნეთ წარსულში. ეკრანზე გაგვიცოცხლეთ ადამიანი, ვინც ეროვნული საგანძური ასეთი რუდუნებით შეგვინახა და საქართველოში ჩამოგვიტანა. ორად ორი ფილმია ქვეყანაზე, რომლის ნახვისას ცრემლი მდის და ეს კიდევ მესამეა, როცა ვუყურებდი, ცრემლებს ვერ ვიკავებდი".

არანაკლებ ემოციური იყო პროკურორის, მალხაზ გეწაძის გამოსვლაც: "ძალიან იშვიათად მიჩნდება ფილმის მეორედ ნახვის სურვილი. დღეს კი მეორედ ვუყურე მას. გულწრფელად გეუბნებით, მაინც ვერ მოჰკლა სურვილი, რომ ერთხელ კიდევ ვნახო. ეს ფილმი მხატვრული ღირებულებითაც ფანტასტიურია. დიდი სურვილი მაქვს, ყველამ ნახოს იგი ერთი მარტივი მიზეზის გამო. როდესაც ჩვენ შვილებთან ერთად ავუყვებით სახელმწიფო მუზეუმის კიბეებს, სადაც ისტორია სართულსართულ არის დალაგებული, უნდა ვიცოდეთ, თუ რა ღირს ის ფასდაუდებელი განძი, რაც იქ დევს. ამას ვერ მოჰყვები, მას ასეთი ფილმი სჭირდება. კარგია, თუმცა, არც ეს არის საკმარისი. დიდი მადლობა, რასაც აკეთებთ. ყველამ უნდა იცოდეს, რამხელა საგანძურს ინახავდა ექვთიმე ღვთისკაცი, რამხელა სარგებელი შეეძლო მიეღო მატერიალური კუთხით, მაგრამ ეს არ გააკეთა. საკუთარი მეუღლე, საკუთარი ბედნიერება, ლამის, სიცოცხლეც კი შეწირა. ამ ფილმით თქვენ მომავალ თაობებს უნიკალური ისტორიული მასალა შემოუნახეთ".

ბატონმა მალხაზმა ფილმის ჩვენებაზე მე-15 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მოიყვანა. "ამ ბავშვებთან გარკვეული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ, როგორც წესი, ასეთ ღონისძიებებში ნაკლებად მონაწილეობენ მათი ხასიათებიდან გამომდინარე. _ განაცხადა მან. _ დღეს, როდესაც ფილმის დასრულების შემდეგ გარეთ გავდიოდით, ორმა მათგანმა გულწრფელად, კითხვის დასმის გარეშე თქვა: "ძალიან მაგარი ფილმია!" ეს არის, ჩემი აზრით, ყველაზე მაგარი შეფასება და კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ!"

"ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი ქმნილების შეფასება". _ ბრძანა დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე). მე-20 საუკუნეში იყო ესპანელი მოაზროვნე _ ხოსე ორტეგა ი გასეტი, რომელსაც ჰქონდა მონოგრაფია "ხელოვნების დეჰუმანიზაცია", სადაც ატარებდა ისეთ იდეას, რომ ხელოვნება, როგორც ფასეულობა, დაიცალა ადამიანური ღირებულებების დემონსტრაციისგან და გახდა, როგორც ფსევდო ხასიათის. შემდეგ როგორც მკვლევარებმა შეაფასეს, ეს განმარტება იყო ცალსახა. ეს მაგალითიც, რომელიც დღეს ჩვენ ვიხილეთ, შეიძლება ითქვას, შევა ჩვენი ქართული კულტურის ენციკლოპედიაში, არის ამის სრული დემონსტრირება. არა მარტო ის დოკუმენტები გააცოცხლა ფილმმა, რომელიც ჩვენს არქივში იყო დაცული, არამედ სრულად ასახა ამ ღვთისკაცის ბიოგრაფიული შტრიხები; წარმოაჩინა ის ჰეროიკული და გმირული სულისკვეთება, რომელიც ამ წმინდანს ჰქონდა და სრულიად დამსახურებულად საქართველოს ეკლესიამ წმინდანთა დასში შერაცხა.

ერთი რაღაც მინდა ვთქვა, რომ წმინდანს, როგორც პიროვნულ მოცემულობას, უცნაური ქცევები გააჩნია. უცნაური იყო ექვთიმეს ქცევებიც, რომელიც გადიოდა თავისი ლოკალური არეალიდან, ოჯახური არეალიდან და ფიქრობდა მამულიშვილურ, ეროვნულ, მასშტაბურ, გლობალურ ფიქრს. მადლობა ღმერთს, რომ ის ქართველი იყო. შეგვეწიოს მისი სული, მისი მადლი და დალოცოს ჩვენი მომავალი თაობა".

"ნამდვილად ღირსშესანიშნავი დღეა ჩვენს მუნიციპალიტეტში. ის ფასდაუდებელი ღვაწლი, რაც ექვთიმეს ჩვენი ქვეყნის, ერის წინაშე აქვს, გააცოცხლა ამ შემოქმედებითმა ჯგუფმა. მადლობას ვუხდი ნიკოლოზ ხომასურიძეს ასეთი კარგი ფილმის შექმნისთვის. წარმატებებს ვუსურვებ და იმედს ვიტოვებ, მსგავსი პროექტების განხორციელების საშუალება კიდევ ექნებათ.

დადებითი შთაბეჭდილებების ქვეშ აღმოვჩნდი. მუნიციპალიტეტის მერია, კულტურის სამსახური მზადაა, ახალი პროექტების განხორციელებაში შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ". _ განწყობა გაუზიარა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ბახტაძემ.

განსაკუთრებული იყო ის დღე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთვის. როგორც მან აღნიშნა: "ამ შესანიშნავ საღამოს დარბაზში ბევრი ახალგაზრდა რომ ზის, ძალიან კარგია, დარწმუნებული ვარ, ამ ფილმის ნახვის შემდეგ მათში კიდევ უფრო გამძაფრდება ეროვნული თვითშეგნება".

"საოცარია" _ ასეთი შეაფასება მისცა ფილმს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა. _ "ექვთიმე თაყაიშვილზე ნამდვილად უნდა შექმნილიყო ფილმი, გადამღებმა ჯგუფმა ძალიან კარგად გაართვა ამას თავი. მიმაჩნია, რომ ისეთი საფიცარი პიროვნებები, როგორიც ექვთიმე თაყაიშვილია, მრავლად გვყავს და იმსახურებენ მსგავს ყურადღებას. ამ ფილმის ჩვენების შემდეგ სურვილი გამიჩნდა, რომ მის მსგავსად სხვებიც დაფასდეს".

მადლობა გადაუხადა ნიკოლოზ ხომასურიძესა და გადამღებ ჯგუფს მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნინო გუნიამ, "ყველა ქართველის სულის სიმებს შეეხო ფილმი და საკუთარ გულში ჩაახედა". _ თქვა მან.

ამაღელვებელია ფილმის ფინალი _ საშობლოს მიწას მიახლებული, აქვითინებული ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ფეხზე მდგარი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს.

"82 წლის მოხუცს ამიხდა დიდი ხნის ნატვრა, დავუბრუნდი საშობლოს და დავუბრუნე მას მისი კუთვნილი განძეული. მომეცა საშუალება, ჩემს უნივერსიტეტში და ახალშობილ აკადემიაში დამეწყო მუშაობა. ოღონდ ძალზე მიკლავს გულს ის გარემოება, რომ ჩემი საცოდავი მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი საფრანგეთის მიწაში დამრჩა დამარხული". _ წერდა შემდეგ იგი.

როგორც ემიგრაციაში მყოფ ქართველს და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მყოფს, ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. ახლობლებიც კი, შიშის გამო, მასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. როცა გარდაიცვალა, პროცესიას მხოლოდ 50-მდე კაცი მიჰყვებოდა. ჯერ ვაკის სასაფლაოზე დაასაფლავეს, შემდეგ დიდუბის პანთეონში, შემდეგ კი მთაწმინდაზე გადაასვენეს. გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნისთვის ნაჭირნახულევს, ერთი სურვილიც შეუსრულეს, ნინო პოლტოროცკაია საფრანგეთიდან გადმოასვენეს და ქმრის გვერდით დაკრძალეს.

ფილმის გადამღებ ჯგუფთან და "ექვთიმეს დროშასთან" სურათების გადაღების მსურველები იმ დარბაზშიც მრავლად აღმოჩნდნენ. სამტრედია კი იმ რამდენიმე მუნიციპალიტეტს შორისაა, ვისაც პატივისცემის ნიშნად ექვთიმეს დროშა საჩუქრად გადაეცა.

პაატა ცერცვაძის ოპიექტივში მოქცეული ისტორიული წამი

ნათია ნაცვლიშვილი

ევროპული სტრუქტურებისკენ მიმავალ ქვეყანაში, სოციალური გაჭირვების მიუხედავად, გვინდა, ყოფა-ცხოვრებაშიც ევროპული სტილი და სტანდარტი დავამკვიდროთ. მერე რა, რომ უმუშევრობაა, მერე რა, რომ საქორწილო სუფრები რესტორანში ძვირი ჯდება, ჩვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება სადღესასწაულო ღონისძიებების არა მარტო გასტრონომიულ, არამედ შემოქმედებით მხარეზე. ფოტოებს იღებენ არა მარტო მექორწილე წყვილები, არამედ იღებენ შვილის დაბადების დღეს, ნათლობის დღეს თუ სხვა დღესასწაულებზე, ერთი სიტყვით, კარგ და ხარისხიან მომსახურებას მიიღებს ის, ვისი ფანტაზიაც და სურვილებიც მისივე შესაძლებლობას დაემთხვევა. ლოკაციებად მიიჩნევა როგორც ფოტო-სტუდიები, ისე ბუნების წიაღი. ახალგაზრდა გოგონები ხშირად სტუდიურ ფოტოსესიას ირჩევენ. _ ბანკეტი, ქორწილი, ღონისძიება კულტურის სახლში თუ სხვა დაწესებულებაში, ნათლობა, იუბილე _ ვრცელია იმ ღონისძიებათა ნუსხა, რისი გადაღებაც ფოტოგრაფს უწევს.

საკმაოდ პოპულარულნი გახდნენ ფოტოგრაფები, ფასებიც მათი პროფესიონალიზმის შესაბამისად წესდება. არსებობს კატეგორია, რომელიც გასტრონომიულ სიამოვნებაში ფულის დახარჯვას ლამაზ ფოტოებში ფულის გადახდას ამჯობინებს. ეს ახლად ფეხადგმული ბიზნესი საკმაოდ მომძლავრდა, ახალგაზრდა ფოტოგრაფები დაწინაურდნენ, რომელთა შემოქმედება უკვე არამარტო მეზობელ მუნიციპალიტეტებშია ცნობილი. წარმოგიდგენთ წარმატებულ და მეტად მოთხოვნად ფოტოგრაფს, დიზაინერს, ფოტო-სტუდია "დიადემას" მფლობელს, პაატა ცერცვაძეს, რომელმაც მართლაც ნულიდან დაიწყო და დღეს ერთ-ერთ პრესტიჟულ ფოტოგრაფად სამართლიანად მიიჩნევა.

სწავლობდა ქალაქის ყოფილ 24-ე საშუალო სკოლაში, სკოლიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა ხატვისადმი, დადიოდა კერძო პედაგოგთან. სკოლა 2000 წელს დაამთავრა, სილამაზის სალონ "დიადემაში" მისი დედა, ქალბატონი სვეტლანა ცერცვაძე მუშაობს. წლების წინ, პაატას გაუჩნდა იდეა, სალონში შემოსული ყველა წყვილის სილამაზე დაეფიქსირებინა და ისტორიული კადრები, საუკეთესო ფოტოებად ქცეულნი, მერე ამ წყვილისათვის საჩუქრად გადაეცა. მაშინ არც ამდენი მობილური და პლანშეტი არსებობდა, თავად რომ გადაეღოთ ფოტოები, თანაც, პროფესიონალის თვალით დანახული სულ სხვაა. იდეა ყველას ძალიან მოეწონა. თავიდან სურათებს უსასყიდლოდ ჩუქნიდა წყვილებს. თანდათან მისი მომსახურება ძალიან მოთხოვნადი გახდა.

"პირველი ნამუშევრით, მახსოვს, წყვილი ძალიან მოიხიბლა, მერე ეს საქმე მეც ძალიან მომეწონა, მერე და მერე სერვისიც გაფართოვდა, სალონში მოსული წყვილი, იქვე ლამაზი ფოტოების გადაღებას გვიკვეთდა. მერე ჩემთვის საუკეთესო, "ქენონის" ფირმის ფოტოაპარატი ვიყიდე, პირველი სრულმასშტაბიანი ფოტოსესია ბუნებაში მოვაწყვე, რაც უნდა ცუდი ამინდი იყოს, გადასაღებად ბუნებას ვირჩევ, მოვძებნით ისეთ ლოკაციას, სადაც ლამაზი პეიზაჟია. სამტრედიელთათვის შედარებით ახლოს საუკეთესო ადგილებია ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, წყალტუბოს პარკი, მარტვილი, დადიანების საზაფხულო რეზიდენცია, სალხინო." _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი. ჩვენს კითხვაზე, რა არის ფოტოგრაფია? მისი პასუხია: " ფოტოგრაფია ხელოვნებაა, გაჩერებული წამია, ინდივიდუალური ხედვაა. ვფიქრობ, აქცენტი იმაზე უნდა გავაკეთოთ, რაც საუკუნეების მანძილზე დარჩება. თუმცა საკუთარი თავის მიმართ ვარ ძალიან კრიტიკულად განწყობილი, არც კრიტიკაზე ვრეაგირებ მტკივნეულად, ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის კარგია, პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს. ყოფილა შემთხვევა, ჩემი ფოტოები სხვას გამოუყენებია, მსგავსი ქმედებები უნდა აღიკვეთოს, საავტორო უფლებები უნდა დავიცვათ."

პაატას უმუშავნია თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და სხვა დიდ ქალაქებში, ყოფილა შემთხვევა, მის გამო ქორწილის თარიღიც გადაუწევიათ. ხშირად ქორწილების ისეთი "შემოტევაა", ფიზიკურად ვეღარ ახერხებს ყველა კლიენტს მოემსახუროს. არაერთი ახალგაზრდა ფოტოგრაფისათვის პაატა მასწავლებლად და გზის გამკვლევადაც იქცა, მისი თქმით, ბევრი ფოტოგრაფი მიუხედავად იმისა, სტუდია არა აქვთ, მაინც წარმატებულად მუშაობს. ორი წელია, პაატამ ფოტოსტუდია "დიადემა" დააარსა და მისი საქმიანობა უფრო და უფრო ცნობილი ხდება.

P.S. სულ ახლახან, ქორეოგრაფიული ანსამბლის "ფარი" წევრებმა, გერმანიის ქალაქ დუისბურგში, პრესტიჟულ ფესტივალ-კონკურსზე გამგზავრების წინ მოაწყვეს ფოტოსესია პაატა ცერცვაძესთან. ფოტოგრაფის ნამუშევრები გერმანიის ქალაქ დუსელდორფში ძალიან მოიწონეს და მალე ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოს ბანერი ქალაქის ქუჩებში დაიდგმება. ამას გარდა, ევროპული მოდის დედაქალაქიდან პაატამ მიიღო შეკვეთა, მის მიერ გადაღებული ტიპაჟები გადააგზავნოს დუსელდორფში, ნამუშევრების მოწონების შემთხვევაში, მასთან საქმიან ურთიერთობას დაამყარებენ.





"თუ უკვლაფვების ფიპოფე ყუაჯო, ჰიჯველად ლედას ფიფუტან ჰეუფით"

სამტრედიის მესამე საჯარო სკოლის პირველი-ა კლასის სტუმრები ვართ. მარეხ თევზაძის აღსაზრდელებმა დედის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე გვიმასპინძლეს. ეს მათი პირველი სასკოლო ღონისძიებაა, პედაგოგმა ბევრი იშრომა, რომ ბავშვებსაც და მათ დედიკოებსაც 3 მარტი დაუვიწყარ დღედ ქცეოდათ. პირველი ნაწილი დედების შეჯიბრს მიეძღვნა. მასწავლებელმა ჯერ ბავშვების საყვარელი ზღაპრის გმირების, ფერების, მულტფილმების შესახებ ინფორმაცია მოაგროვა, მერე კი ამ კითხვებით მშობლებს მიმართა. ვინც ეს კითხვარი შვილის ინტერესების ზუსტი გათვალისწინებით შეავსო, გაიმარჯვა ნომინაციაში "ვინ იცნობს კარგად საკუთარ შვილს". მომდევნო ნომინაციაში "უნივერსალური დედა" იმ დედიკოებმა გაიმარჯვეს, რომლებმაც შესძლეს ერთდროულად დაეჭრათ სტაფილო, დაეკეცათ აბურდულ-დაბურდული ტანისამოსი და შვილებისათვის დაეხატათ კურდღელი. ერთ-ერთ ნომინაციაში იმათ იპირველეს, ვინც სწრაფად შეძლო დალაქავებული ნახატის "გადარჩენა". დედებს ნახატზე რაიმე შტრიხის დამატება ევალებოდათ, ლაქა რომ დაეფარათ. კონკურსის ერთ-ერთი სახეობა კი, არეული მძივების, ჭიკარტებისა და ღილების განცალკევება იყო. შედეგებს ჟიურის წევრები, სკოლის დირექტორი, ვენერა ივანიშვილი და დირექტორის მოადგილე, მარინა ნადირაძე ითვლიდნენ და გამარჯვებულებიც მათ გამოავლინეს. ერთი სიტყვით, აქვე, სასკოლო სივრცეში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, რა შრომას ეწევა დედა! თითქოს არაფერი, მაგრამ როგორ უნდა მოასწროს მან პარალელურად რამდენიმე გადაუდებელი საქმე, როგორ დაალაგოს პრიორიტეტები ისე, რომ შვილები უპირატესი საზრუნავები იყვნენ! კონკურსის მსვლელობისას პატარები აზარტითა და დაძაბულობით გულშემატკივრობდნენ თავიანთ დედებს.

ერთადერთ ნომინაციაში _ "გმირი დედა" გამარჯვება პედაგოგმა ყოველგვარი კონკურსის გარეშე მიანიჭა მშობელს, ნათია მელქაძეს, რადგან ის ხუთი შვილის დედაა. ღონისძიების მეორე ნაწილში შვილები დედებს ულამაზესი ლექსებითა და სიმღერებით მოეფერნენ და საგანგებოდ დამზადებული ბარათები უსახსოვრეს, ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი მილოცვის სიტყვებით.

ნათია ნაცვლიშვილი

რიცხვების და ციფრების ჯადოქრობა

ნათია ნაცვლიშვილი

საუკეთესო ინტეგრირებულ გაკვეთილზე გვიმასპინძლეს მეთორმეტე საჯარო სკოლაში. პედაგოგ მედეა გეგეშიძის სადამრიგებლო, მესამე კლასმა რიცხვებისა და ციფრების ჯადოსნურ სამყაროში გვამოგზაურა. მათემატიკასთან, ამ ზუსტ მეცნიერებასთან შეჭიდება ადვილი როდია, თუმცა, ეს ბავშვები დისციპლინას ღირსეულად ეჭიდებიან. შესანიშნავად შეუხამეს მაგალითის, ამოცანის თუ განტოლების ამოხსნას მათემატიკის უცხოელი და ქართველი გიგანტების ბიოგრაფიების ცოდნა. გზადაგზა მათემატიკაზე გენიოსთა გამონათქვამებიც მოიხმეს, ამ გამონათქვამებს კედლებზეც იხილავდით გამოკრულს. ბუნება მხოლოდ მათემატიკის ენაზე გვესაუბრებაო, უთქვამს გალილეო გალილეის. ავსტრიელი ლიტერატორი, ლობერგერი კი მათემატიკას რიცხვების გრამატიკას უწოდებს, ასე რომ, ყველა დარგის სპეციალისტი მათემატიკის უპირატესობაში გვარწმუნებს. პატარებმა კი, მათემატიკის კარგ ცოდნასა და სიყვარულში დაგვარწმუნეს. წარმოთქვეს ლექსები და იმღერეს სიმღერები, სადაც რიცხვები ფიგურირებს... ერთი სიტყვით, საგაკვეთილო სპექტრის ყველა ფერი მათემატიკას ასხივებდა.... დამრიგებელ მედეა გეგეშიძესა და მუსიკის პედაგოგ ლელა გოლიაძეს მართლაც ბევრი ეშრომათ და გაკვეთილის შედეგიც ბრწყინვლე იყო. ჟიური სკოლის დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის, ნინო ონიანის, მათემატიკის პედაგოგების, ინეზა ბაღდავაძისა და შორენა თევზაძის შემადგენლობით ბავშვებს გზადაგზა სთავაზობდა ყოველ ახალ დავალებას, პაკეტში მათთვის სრულიად უცნობი დავალების რამდენიმე ვარიანტი იდო.

პატარები ორ ჯგუფად დაიყვნენ. ერთმანეთს გუნდები "პითაგორა" (კაპიტანი ანანო ორმოცაძე) და "გიორგი ნიოლაძე" (კაპიტანი საბა ჭაფოძე) დაუპირისპირდნენ. კაპიტნებმა შესანიშნავად წარმოადგინეს პითაგორასა და გიორგი ნიოლაძის ბიოგრაფიები. მეტალურგი, გეომეტრი, ტერმინოლოგი, გამომგონებელი, ტანმოვარჯიშე, მთამსვლელი _ ეს რეგალიები გიორგი ნიოლაძემ მისი ხანმოკლე, 42 წლიანი ცხოვრების განმავლობაში მოიპოვა. ბავშვები უკვე ესტუმრნენ ნიო ნიოლაძის სახლ-მუზეუმს და ახლოს გაეცვნენ ბუმბერაზი მამაშვილის ნიო და გიორგი ნიოლაძეების ცხოვრებას.

გაკვეთილზე შიგადაშიგ მუსიკაც ჟღერდა. პერფორმანსიც განხორციელდა "სად მივყავარ ამ რიცხვების ლიანდაგს" სიმღერა-სიმღერით ფიქრობს ბიჭუნა ამოცანაზე, მას სიმღერითვე ეპასუხებიან მოსწავლეები და მასწავლებლად გარდასახული პატარა გოგონაც, საგანგებოდ რომ ჩაუბნევია თმაში ჭაღარა. ამ სახალისო სცენას ისევ გაანგარიშებაში შეჭიდება და ფიქრი მოჰყვა. სასიამოვნოდ დაიღალნენ პატარები, კარგად გაართვეს თავი დავალებებს: გამრავლების ტაბულის ცოდნას, რიცხვების გამრავლებას თუ გაყოფას, კროსვორდების ამოხსნას, რომლებიც მათემატიკური შინაარსის კითხვებს მოიცავდა. ჟიური ცდილობდა, მცირედი ნიუანსიც კი უყურადღებოდ არ დაეტოვებინა, შედეგები მისხალ-მისხალ აიწონა, რომ მათ უფაქიზეს გულებში პროტესტის გრძნობა არ გაჩენილიყო. გაკვეთილი-შეჯიბრი თანაბარი შედეგებით დასრულდა. ვინ იცის, ხვალ ამ ბავშვების სახით რამდენი კვალიფიციური კადრი მოგვევლინება. ისინი მართლაც ღირსეულად გადიბარებენ ქვეყანას. ამის მოლოდინი აქვთ პედაგოგებსაც, რადგან სხვანაირად არ ეკადრება სკოლას, რომელსაც არაერთი საქვეყნოდ ცნობილი ექიმი, იურისტი, მათემატიკოსი და სხვა პროფესიის ადამიანი აღუზრდია.

სახალისო შეკითხვებზე მშობლებსაც მოუწიათ პასუხის გაცემა.

გაკვეთილი ნინო ონიანმა შეაჯამა: "ასე კარგად იცით მოქმედებების შესრულების თანმიმდევრობა, ამოცანებისა და განტოლებების ამოხსნა, ძალიან მიხარია, რომ ასეთი მონდომებულები და აქტიურები ხართ, ძალიან ვისიამოვნეთ თქვენი სიმღერით, ვიწონებთ თქვენს დეკლამატორულ ნიჭს,

მადლობა პედაგოგებს." მან ასევე კინგსის ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეებს საბა ჭაფოძეს, ხატია ხაჟომიას და გიორგი ჯანიაშვილს საზეიმოდ გადასცა დიპლომები და წარმატებები უსურვა ყველას. პედაგოგმა შორენა თევზაძემ მიხეილ ლომონოსოვის სიტყვებით მიმართა ბავშვებს: "მათემატიკა ისწავლეთ მხოლოდ იმისთვის, რომ მას ჭკუა წესრიგში მოჰყავს".

უკუთვლის პროცესი _ "ეპიზოდი"

საყოველთაოდ ცნობილი პროცესი (ათი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი _ სტარტი), რომელიც შეუცვლელად თან ახლავს ხოლმე კოსმოსური ხომალდების (რაკეტების) ნებისმიერ სტარტს, არც მეცნიერებისა და არც ასტრონავტების მიერ არ ყოფილა გამოგონებული. აღნიშნული პროცესის პრაქტიკაში დამკვიდრება დაკავშირებულია კინემატოგრაფიასთან. კერძოდ კი, 1929 წელს გერმანელი კინორეჟისორის _ ფრიც ლანგის მიერ გადაღებულ გერმანულ ფილმთან, სახელწოდებით _ "ქალი მთვარეზე", სადაც პირველად იქნა გამოყენებული ზემოაღნიშნული პროცესი, რომელიც თავის მხრივ, შემდგომ გადმოტანილი და ფართოდ დამკვიდრებული იქნა კოსმოსური ხომალდების კონსტრუქტორების მიერ.

Genia.Ge

რას აღნიშნავდა თავდაპირველად სიტყვა _ "რემონტი"?

სიტყვა _ რემონტი (Remonte) _ რომელიც თანამედროვე გაგებით წარმოადგენს რაიმე ობიექტისა თუ ნივთის შეკეთების და აღდგენის კომპლექსურ ღონისძიებას, ფრანგული წარმომავლობის მქონეა და აღნიშნავს რისამე შეცვლას, გამოსწორებას ან შევსებას. პირველად აღნიშნული სიტყვა ლექსიკონში დამკვიდრებული იქნა XVIII საუკუნის დასასრულს და რაც ყველაზე საინტერესოა, საფრანგეთში იგი დაკავშირებული გახლდათ არმიასთან. კერძოდ კი, კავალერიასთან. "გარემონტება" თავდაპირველად გულისხმობდა ცხენებით ჩანაცვლებას. კავალერიისათვის ახალი ცხენების შეძენას კურირებას უწევდნენ სპეციალურად შერჩეული ოფიცრები, რომელთაც _ "რემონტიორებად" მოიხსენიებდნენ. დროთა განმავლობაში სიტყვა "რემონტმა" ახალი და ბევრად უფრო ფართო დანიშნულება შეიძინა და იგი დაზიანებულის აღდგენას, შეკეთებასა და რეკონსტრუქციის სინონიმად ჩამოყალიბდა.

Genia.Ge

რედაქტორი ვაჟა ნიკოლეიშვილი

თითქმის სამი ათეული წელი ასე აწერდა ხელს რაიონულ გაზეთს კაცი, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული საკუთარ საქმეზე, მოყვასზე, პროფესიაზე.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირების წევრი, წლების მანძილზე იყო არჩეული რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში, გახლდათ ჭადრაკის ფედერაციის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. განუზომელია ბატონი ვაჟას წვლილი რაიონული გაზეთის თემატურ-სტილისტურად გაუმჯობესების საქმეში.

1980 წელს "წინსვლა" გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამამულო ომის თემატიკაზე გამოცხადებულ კონკურსში და საკავშირო გაზეთ "იზვესტიას" სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. რედაქტორის მიზანმიმართული შრომისა და ძალისხმევის შედეგი იყო ყოველივე და იმ ადამიანებისა, გაზეთის შემოქმედებით ბირთვს რომ შეადგენდნენ.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ბატონი ვაჟა სამტრედიის კულტურის განყოფილებას ედგა სათავეში და აქაც ჩვეული შემართებით იღვწოდა სამტრედიელთა კეთილდღეობისათვის.

თავს ბედნიერად ვთვლი, რამეთუ ჯერ კიდევ კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის ახლად კურსდამთავრებულს წილად მხვდა ბედნიერება, გაზეთთან თანამშრომლობისათვის ბატონი ვაჟას ხელწერით მომცრო წიგნი მიმეღო საჩუქრად. "სად იწყება ცა" _ ასე ჰქვია წიგნს და იგი ჩემთვის უძვირფასესია.

ბატონი ვაჟას ადამიანურ ღირსებებზე ხშირად და ძალზე ბევრს საუბრობს ხოლმე ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, 20 წლის მანძილზე გაზეთ "წინსვლის" რედაქტორის მოადგილე, ჩვენი უფროსი კოლეგა, ბატონი კორნელი ჩიხლაძე. დღესაც თბილად იგონებენ ვაჟა ნიკოლეიშვილს კულტურის მუშაკები, ადამიანები, რომელთაც ბატონ ვაჟასთან საქმიანი, შემოქმედებითი ურთიერთობები აკავშირებდათ.

"ყველაზე კარგი პროფესია კაცობაა" _ აღნიშნავდა ხოზე მარტი პერესი.

ბატონი ვაჟა ყველაზე კარგი პროფესიისა იყო.

90 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ვაჟა ნიკოლეიშვილი.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

ლევან გაბეჩავა და მურად გელეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ კარლოს ძე ჯიქია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიელი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები პირველობენ!

საქართველოს დედაქალაქმა 26-28 თებერვალს უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ჩემპიონატი ნიუ-თბილისის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა, სადაც სპორტის ამ სახეობაში საქართველოს უძლიერესი ფალავნები ასპარეზობდნენ. მათ შორის, სამტრედიის საჭიდაო კლუბის "ფალავანი" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენები ღებულობდნენ მონაწილეობას. ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ "სამტრედიის მაცნე" საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ვეფხია სტურუას გაესაუბრა.



ვეფხია სტურუა: "აღნიშნული ჩემპიონატი გამოირჩეოდა სპორტსმენთა სიმრავლით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და სპორტსმენთა შორის კონკურენციას აძლიერებს. სამტრედიელმა მოჭიდავეებმა მართლაც გვასახელეს. დავიწყოთ იმით, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტს ჩვენნაირი შედეგებისათვის არ მიუღწევია. სამი ჩემპიონი და ერთი მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გვყავს! 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გოგა ძიგუამ, 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ივერი ჯულაყიძემ და 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე დემურ მეგენეიშვილმა ჩემპიონობა არავის დაუთმეს, ხოლო 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში გია ულრელიძე მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ვულოცავთ გამარჯვებას ჩვენს სპორტსმენებს. 30 ივლისს იტალიის დედაქალაქ რომში იწყება და 5 აგვისტომდე გასტანს ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ამ ჩემპიონატის საგზურები. ვუსურვებ მათ წარმატებულ ასპარეზობას და ჩემპიონობას".

"სამტრედიის მაცნე" ულოცავს ამ წარმატებას ჩვენს მოჭიდავეებს, მათ მწვრთნელებს ვეფხია და ლაშა სტურუებს, ბიძინა მელაშვილს და ზაზა არაქანიას, ასევე უსურვებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულ ასპარეზობას. სექტემბერში სლოვაკეთში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ჩვენი სპორტსმენები ასევე იასპარეზებენ. მათ შედეგებს მოუთმენლად ველით.

ნათია ნაცვლიშვილი

დეკანოზ ათანასეს (რუხაძე)!

ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

პატივისცემით ბეჟან გოგია

ავთო ფოცხვერიას კეთილი სურვილებით ვულოცავ დაბადების დღეს!

ბეჟან გოგია

რუსუდან წიქვაძეს!

შესანიშნავ ქალბატონს, № 1 საჯარო სკოლის დაწყებითების მასწავლებელს, დედისა და ქალთა დღესასწაულებს სიყვარულით ვულოცავ. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულის მხნეობას, თქვენი ნათელი გონებით დიდხანს იდექით ჩვენი შვილების აღზრდის სადარაჯოზე, გვიყვარხართ და გვეიმედებით.

მშობელი ნათია ბიბილეიშვილი

ღვაწლმოსილ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ნორჩების გულების მესაიდუმლეს, ღირსეულ დედასა და ბებიას, ქალბატონ

ცისანა კოვალეიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღესა და 8 მარტს.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად ჩვენო საყვარელო ცისანა მასწავლებელო.

ყოფილი აღსაზრდელები

სადაც არის განათლების
მძლავრი კერა, შენ გელიან,
უწინ "ჯავახიშვილი" და
ახლა "კახა შენგელია".

სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩის № 3-ში ფუნქციონირებს

ფოტოვიდეო სტუდია

„დიადემა"

სადაც მოგემსახურებათ ფოტოგრაფი,
დიზაინერი პაატა ცერცვაძე.
ტელ.: 598 50 39 52.

მადლობა!

მოგეხსენებათ, მომავალ თაობათა აღზრდა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს ურთიერთობათა მრავალ ასპექტს. პატარებისადმი მიმართ გამოჩენილი ყოველი დადებითი ემოცია და პოზიტიური განწყობა დიდ გავლენას ახდენს მათ სამომავლო ცხოვრებაზე.

სოფელ გორმაღლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები დიდ მადლობას ვუხდით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და მუნიციპალიტეტის ყველა ხელმძღვანელს, ჩვენდამი გამოვლენილი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა